# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 18 სექტემბერი. 2019 წ. №184 (8850) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## კრამერი ... ირმას წინააღმდეგ

## საქართველოზე გადმოფარებული „მზრუნველი“ კალთა

## „პატრიოტთა ალიანსი“ „ნაციონალებს“ ერთადერთი რამისთვის სჭირდებათ - თავად არ დაბრალდეთ

④ რუსეთის გავლენა“ ⑤

## საერთაშორისო სავალუტო ფონდი პოზიტიურად აფასებს

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების პოზიტიურ დინამიკას — ეკონომიკის ზრდის ტემპის მდგრადობას, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესებასა და ქვეყნის სხვა მაკროეკონომიკურ პარამეტრებს პოზიტიურად აფასებს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და მისიის ხელმძღვანელ მერსედეს ვერა მარტინის შეხვედრაზე აღინიშნა.

საუბრისას მხარეებმა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ პროგრამის მიმდინარეობა და 2020 წლის ძირითადი ფისკალური მაჩვენებლები განიხილეს. ყურადღება გამახვილდა ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და სტრუქტურულ რეფორმებზე.

პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის პოლიტიკა მიმართულია ფისკალური მდგრადობისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისკენ. გიორგი გახარიამ ასევე ხაზი გაუსვა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებულ მჭიდრო პარტნიორობას და საქართველოს მთავრობის სახელით თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისთვის მზადყოფნა დაადასტურა. როგორც მერსედეს ვერა მარტინმა აღნიშნა, საქართველოს ეკონომიკური ზრდის დინამიკა საკმაოდ მყარია.

**„მივიჩნევთ, რომ გაუარესებული გარე ფაქტორების მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკამ საკმარისი გამძლეობა აჩვენა. საქართველოს ეკონომიკური ზრდის დინამიკა საკმაოდ მყარია“,** — განაცხადა მერსედეს ვერა მარტინმა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს შემდეგი ვიზიტით ოქტომბერში ეწვევა.

**ომარ ხახაშვილი:**

## „ნაკლები ბოროტება“ თუ სიკეთე?

⑦

## ერთი ავ-კარგიანი საკითხის გამო

## თბილისში კიდევ ერთი ახალი მიზიდულობის ცენტრი შეიქმნება

**დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ, „აჭარა ჯგუფის“ აღმასრულებელ დირექტორთან ვალერი ჩეხერიასთან ერთად რადიოქარხნის ტერიტორია დაათვალიერა.**

„აჭარა ჯგუფის“ შვილობილმა კომპანიამ — „ინდუსტრიული ქალაქი“ — რადიოქალაქის ტერიტორია, დაახლოებით, 23 მლნ ლარად, აუქციონზე შეისყიდა და აიღო ვალდებულება, რომლის თანახმად აღნიშნული სივრცის განვითარებაში, 4 წლის განმავლობაში 8 მლნ დოლარის მოცულობის ინვესტიცია ჩაიდება. გარდა ამისა, პროექტი იმ კონცეფციის შესაბამისად უნდა განხორციელდეს, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული კომპანიის „კოლიერსის“ მიერ არის შედგენილი.

კახა კალაძის თქმით, პროექტის განხორციელების შედეგად თბილისში კიდევ ერთი ახალი მიზიდულობის ცენტრი შეიქმნება. პროექტი ითვალისწინებს მრავალფუნქციური გასართობი კომპლექსის მშენებლობას. კომპანია „კოლიერსის“ მიერ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით, რადიოქარხნის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს კვების ობიექტები, სავაჭრო, საგამოფენო, საკონცერტო, კულინარიული, სამუშაო-საწარმოო, სპორტული, ფიტნეს და სხვა ტიპის სივრცეები, ღამის კლუბი, საცურაო აუზი, რეკრეაციული სივრცე, კინოთეატრი, გასართობი ცენტრი, მედიათეკა, მინი საბავშვო ქალაქი, მეცნიერებათა მუზეუმი და სხვა.

## გაიხსნა ფოტოგრაფიისა და მულტიმედიის მუზეუმი

**სასტუმრო „სტამბაში“ თბილისის ფოტოგრაფიისა და მულტიმედიის მუზეუმი გაიხსნა. პრეზენტაცია თბილისის მე-10 საიუბილეო ფოტოფესტივალის კვირეულის ფარგლებში მოეწყო.**

მუზეუმი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებული პროექტის მიხედვით შეიქმნა. მუზეუმის ბაზაზე მედიათეკა და მულტიმედიური არქივი იხსნება. საგანმანათლებლო და საგამოფენო საქმიანობა თანამედროვე მეთოდიკითა და ინოვაციური მიდგომებით განხორციელდება.

მუზეუმის გახსნას დედაქალაქის მერი კახა კალაძე, მერის მოადგილე სოფო ხუნწარიასთან ერთად დაესწრო, რომლის თქმით, თბილისი რეგიონში კულტურის დედაქალაქი უნდა გახდეს.

**„მინდა, ქალაქს მივულოცო კიდევ ერთი არაჩვეულებრივი სივრცის შექმნა. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ თბილისი რეგიონში კულტურის დედაქალაქი უნდა გახდეს. მულტიმედიური მუზეუმის გახნა, რომელსაც თავისი მედიათეკაც ექნება, სწორედ ამ მიმართულებაზე მეტყველებს — ეს რეგიონში პირველი ფოტომუზეუმია. რაც შეეხება მედიათეკას, ხაზი მინდა გავუსვა, რომ ქალაქ თბილისის მერია მომავალი წლიდან სწორედ მისი მოწყობის კომპონენტში ჩაერთვება“,** — განაცხადა სოფო ხუნწარიამ.

# ლორა თორნტონი: ევროკავშირის და ნატოს მხარდაჭერა კვლავ სტაბილურია, რაც კარგია

**მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეკონომიკაზე პასუხისმგებლობას ანიჭებს ხელისუფლებას და არა რამე ტიპის გარე ფაქტორებს,** — ამის შესახებ „ენდიაის“ საქართველოს ოფისის დირექტორმა ლორა თორნტონმა საზოგადოებრივი აზრის კვლევის წარდგენის შემდეგ განაცხადა.

**„ჩვენი აზრის კვლევის ძირითადი მიგნებები არის ის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია, რაც ამ კვლევებში დაფიქსირებულა. ეს ყველაფერი უკავშირდება იმას, რომ მოსახლეობა ქვეყნის ეკონომიკას ძალიან ნეგატიურად აფასებს.**

**მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხების ჩამონათვალში არის სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ფასების ზრდა და სხვა. ძალიან მჭიდრო კორელაცია დადგინდა ვალუტის კურსთან მიმართებით. ანუ ლარის დოლართან მიმართებაში კურსი და მეორეს მხრივ პასუხები, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება, ეს ორი საკითხი მჭიდრო კავშირში არის ერთმანეთთან.**

**ძალიან საინტერესოა ის, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეკონომიკაზე პასუხისმგებლობას ანიჭებს ხელისუფლებას და არა რამე ტიპის გარე ფაქტორებს. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგი თუ ცუდი, რაც ეკონომიკაში ხდება, საბოლოო ჯამში მიეწერება ხელისუფლებას“,** — განაცხადა ლორა თორნტონმა.

„ენდიაის“ საქართველოს ოფისის დირექტორის თქმით, მოსახლეობა საკმაოდ ნდობით არის განწყობილი ჯანდაცვის სისტემის მიმართ. ასევე ევროკავშირის და ნატოს მხარდაჭერა კვლავ სტაბილურია.

**„მნიშვნელოვანი მიგნება იყო ის, რომ მოსახლეობა საკმაოდ ნდობით არის განწყობილი ჯანდაცვის სისტემის მიმართ. ფიქრობენ, რომ ის არის ხელმისაწვდომი, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება ფასები, როგორც სამედიცინო მომსახურებაზე, ასევე წამლებზე. მოსახლეობის ნახევარი გვპასუხობს, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მას ან მისი ოჯახის წევრს სჭირდებოდა ან სამედიცინო დახმარება ან წამალი და უსახსრობის გამო, ვერ შეძლო შეძენა. ეს ყველაფერი აგზავნის ცხად მესიჯებს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და ქვეყნის ლიდერებთან, რომ საჭიროა ჯანდაცვის კუთხით მუშაობა და ასევე, ეკონომიკის ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის პრობლემებისკენმიმართვა, რომელსაც მოსახლეობა ასახელებს. ევროკავშირის და ნატო-ს მხარდაჭერა კვლავ სტაბილურია, რაც ცხადია კარგია“,** — განაცხადა ლორა თორნტონმა.

# ადა მარშანია: ნატოში არ მიგვიღებენ არც აფხაზეთ-ცხინვალთან ერთად, არც უიმათოდ...

**ჰაერივით** **გვჭირდება დიალოგი აფხაზებთან, ოსებთან, რუსეთის ფედერაციასთან, ჩვენი უმძიმესი პრობლემის, ქვეყნის გამთლიანების დასაძრავად,** — ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა ადა მარშანიამ პარლამენტში განაცხადა.

ადა მარშანიამ აშშ-ის საელჩოსთან გამართულ „პატრიოტთა ალიანსის“ აქციასა და მის მიზნებზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და აღნიშნა, რომ მათ „გააჟღერეს ქართველი ხალხის გზავნილები“.

**„საპარლამენტო ტრიბუნიდან გვინდა გავაჟღეროთ ის მკაფიო გზავნილები, რომელიც გახმოვანდა „პატრიოტთა ალიანსის“ აქციაზე ამერიკის საელჩოსთან, რომელიც არც ანტიამერიკული იყო და არც დესტრუქციული.**

**ბატონი გია ვოლსკის ყურადღება მინდა მივიქციო. დაინახეთ ქართველი ხალხი და დადექით იქ, სადაც დგას ქართველი ხალხი და არა იქ, სადაც დგას და არიან მკვლელები, მწამებლები, მავნებლები და პროვოკატორები სააკაშვილების და ბოკერიების სახით. შეწყვიტეთ მათი მფარველობა, შეწყვიტეთ მათ მიერ შექმნილი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური დახმარება, სად არის აქ ანტიამერიკანიზმი. საქართველო არ არის ბანანის რესპუბლიკა, ექსპერიმენტების პოლიგონი, ან ფეოდალური სახელმწიფო, სადაც შეიძლება იყოს დირექტორი კრამერი და ბრაიზა. გასაოცარია, ბატონი ბრაიზა ჩამოდის საქართველოში და ლანძღვას თავისივე ქვეყნის პრეზიდენტს დონალდ ტრამპს“,** — განაცხადა ადა მარშანიამ.

ადა მარშანიას თქმით, საქართველოს ნატო-ში არ მიიღებენ არც აფხაზეთ-ცხინვალთან ერთად, არც მათ გარეშე, შესაბამისად უნდა დამთავრდეს ამ საკითხით სპეკულირება.

**„ყველას გვესმის, რომ დღეს არანაირად ჩვენ ნატო-ში არ მიგვიღებენ არც აფხაზეთ-ცხინვალთან ერთად, არც მათ გარეშე და უნდა დამთავრდეს ამ საკითხით სპეკულირება და უაღრესად მავნებლური განცხადებები, დებატები, კონფერენციები, თუ რა სახით მიგვიღებენ ან არ მიგვიღებენ ნატო-ში. გავიგოთ, რომ ეს არის ყველაფერი მორიგი სატყუარა, ჩვენ ეს ე.წ. დებატები და ეს ყველაფერი მხოლოდ ახალ საომარ მოქმედებებში ჩაგვითრევს. აქედან გამოსავალი სამხედრო მიუმხრობლობის პოლიტიკის გამოცხადება და გატარებაა და არა სამხედრო პოლიტიკური ბლოკები, არა ბაზები, არა რაიმე სახის საერთაშორისო ცდები.**

**ჰაერივით გვჭირდება ჩვენ დიალოგი აფხაზებთან, დიალოგი ოსებთან, დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან, ჩვენი უმძიმესი პრობლემის, ქვეყნის გამთლიანების პრობლემის დასაძრავად. თავად ჩვენმა საზოგადოებამ და ქართველმა ერმა გააკეთოს სწორი დასკვნა და ის ყოველთვის სწორ დასკვნებს აკეთებს“,** — განაცხადა ადა მარშანიამ.



**დენიელ ფრიდი, ამერიკელი დიპლომატი, „ატლანტიკური საბჭოს“ მომავალი ევროპისა და ევრაზიის ცენტრის ხელმძღვანელი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე საქართველოში იმყოფებოდა საერთაშორისო კონფერენციაზე Now What?, რომელიც მაკკეინის ინსტიტუტისა და „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ (EPRC) მიერ იყო ორგანიზებული. კონფერენციის მიღმა დენიელ ფრიდმა თავის კოლეგებთან ერთად შეხვედრები გამართა საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრების შესახებ ის სიტყვაუხვი არ არის, თუმცა „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ საქართველოში მოვლენების დემოკრატიულად წარმართვის პერსპექტივა ქართველების ხელშია. დენიელ ფრიდი ხსნის, რატომ არის რთული ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ საქართველოს გაწევრებაზე გადაწყვეტილების მიღება. მისი აზრით, საქართველომ დრო უნდა გამოიყენოს პოლიტიკური კაპიტალის დასაგროვებლად, რომელსაც სათანადო მომენტში გამოიყენებს. თბილისში გამართულ კონფერენციაზე დენიელ ფრიდი მონაწილეობდა ნატოს გაფართოების თემაზე გამართულ დისკუსიაში. მას აქვს საგარეო ურთიერთობათა სფეროში მოღვაწეობის ათწლეულების გამოცდილება და არაერთი ისტორიული მოვლენის მონაწილეა. „რადიო თავისუფლების“ ინტერვიუ რუსეთის თემით იწყება და დიდწილად საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხს ეძღვნება:**

# „არ მგონია, რომ რუსეთი ყოველთვის იქნება ისეთივე ცუდი მოთამაშე, როგორიც დღეს არის“

**„რადიო თავისუფლება“: — რა გასწავლათ რუსეთზე თქვენმა ძალიან ხანგრძლივმა კარიერამ საგარეო ურთიერთობების სფეროში? რა მუშაობს და რა არა კრემლის პოლიტიკის წინააღმდეგ?**

**დენიელ ფრიდი:** — ორი პრინციპული დასკვნა მაქვს რუსეთზე: ერთი — მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთი განწირულია თავის ყველაზე ცუდ ისტორიულ ტრადიციებამდე დაშვებისთვის. არ მიმაჩნია, რომ რუსეთი ყოველთვის იქნება ისეთივე ცუდი მოთამაშე, როგორიც დღეს არის; ჩემი მეორე შთაბეჭდილება კი არის ის, რომ, როცა რუსეთი ცუდ პოზიციაზე დგას და აგრესიულად მოქმედებს, საჭიროა, თავისუფალმა მსოფლიომ, თუ შეიძლება ეს ტერმინი გამოვიყენო, წინააღმდეგობა გაუწიოს ამ აგრესიას იმისთვის, რომ დავაჩქაროთ იმ დღის დადგომა, როცა უკეთესი რუსეთი აღმოცენდება.

**— იცით, სულ უფრო მეტი ადამიანი აღიარებს (დასავლელ ადამიანებს ვგულისხმობ): პოლიტიკოსებს, მკვლევარებს, ამ კონფერენციაზეც არაერთმა აღნიშნა, რომ 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება —არ მიეცა საქართველოსთვის გაწევრების სამოქმედო გეგმა —იყო შეცდომა. აგრეთვე, ბევრი ადამიანი ხედავს პირდაპირ კავშირს ამ გადაწყვეტილებასა და საქართველოში აგვისტოს ომს შორის. როგორ შეიძლება ამის გამოსწორება და შეიძლება, თუ არა ამის გამოსწორება?**

— მე ბუქარესტში ვიყავი და ეგ ყველაფერი კარგად მახსოვს. რა თქმა უნდა, პრეზიდენტი ბუში, პოლონელები, ბრიტანელები, ბალტიელები მხარს უჭერდნენ საქართველოსთვის გაწევრების სამოქმედო გეგმის მიცემას, მაგრამ ალიანსის წევრთა პოზიციები გაყოფილი იყო და ბოლოს მათ მიაღწიეს კომპრომისს — განაცხადეს, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები და ეს იყო სრულიად კეთილგონივრული პოზიცია, რომელიც ალიანსმა დაიკავა. მე მგონია, რომ თქვენ გულისხმობთ და არსებობს კიდეც საფუძველი ასეთი არგუმენტისთვის, რომ ნატოს დანაწევრებულობის წარმოჩენას შეიძლებოდა წაეხალისებინა პუტინი საქართველოზე თავდასხმისთვის, რაც მან რამდენიმე თვეში, იმ ზაფხულს გააკეთა. შესაძლებელია, ასეც იყო. მაგრამ, ასევე სიმართლეა ის, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრება რთული, კომპლექსური გადაწყვეტილებაა, ეს არ არის იოლი. ეს რომ ადვილი ყოფილიყო, დიდი ხნის წინ მივიღებდით. მაგრამ, არ არის ადვილი — ეს რთული გადაწყვეტილებაა ალიანსისთვის. საჭიროა, მკაფიო პოზიცია გვქონდეს იმაზე, რომ საქართველოს სუვერენიტეტს ვუდგებოდეთ სერიოზულად. ერთი რამ მინდა, ვთქვა — აშშ არ ცდილობს, მოკიდოს ხელი საქართველოს და შეათრიოს ალიანსში. საქართველოს ნატოში ინტეგრაციისკენ ბიძგი თავად ქართველებისგან მოდის და ასეც უნდა იყოს. ჩვენ არ გვსურს, ალიანსში იყოს ის, ვისაც თავად არ უნდა ალიანსში ყოფნა. თუკი დემოკრატიული ქვეყნის თავისუფალ ხალხს სურს ნატოს წევრობა, ჩვენ მათ უნდა ვუპასუხოთ. ესაა დილემა და ჩვენ დღემდე ამ დილემის პირისპირ ვდგავართ.

**— დიახ, ბატონო ფრიდ, მაგრამ ნატოს წევრებმა უნდა მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს გაწევრებაზე. ვიცით, რომ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს სვლას ნატოსკენ. ეს უმრავლესობა ელოდება მომენტს, როცა ეს მოხდება და ეს უმრავლესობა ფიქრობს - ნეტა, როდის მოხდება ეს და რა ვითარებაში?**

— კი, ბატონო! მოდით, გულწრფელები ვიყოთ: ალიანსში არ არის კონსენ-

# „შეწყალების თემა უნდა მოწესრიგდეს!..“

**საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, შეწყალების თემა დარეგულირდეს, რადგან არ შეიძლება, ამ ასპარეზზე ადამიანმა, პრეზიდენტმა, ნებისმიერმა განსწავლულმა ადამიანმა თვითშემოქმედებით იმოქმედოს.**

ამასთან, როგორც ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, სანამ პრინციები არ ჩამოყალიბდება, შეცდომებისგან, გადაცდომებისგან, არასწორი გადაწყვეტილებებისგან არავინ არის დაზღვეული.

მისივე თქმით, მიაჩნია, რომ დავით ოთხმეზურის მკვლელობისთვის გასამართლებული პირის შეწყალება არასწორი გადაწვეტილებაა.

**„ზოგადად, შეწყალება კარგი ფაქტია, მაგრამ წარმომიდგენია ისეთი ადამიანის შეწყალება, რომელიც მუხლებზე არის დაცემული, შეწყალებას ითხოვს, მონანიებული აქვს ყველაფერი და ამის გარდა, დაზარალებული მხარეც წინააღმდეგი არ არის, რომ შეწყალება მოხდეს. მხედველობაში მაქვს მძიმე დანაშაულები, მძიმე, რომელიც ლეტალურ შედეგთან არ არის დაკავშირებული. ამ თემაზე შეკითხვა მაქვს და ვფიქრობ, რომ ამ სფეროს დარეგულირება მალე უნდა მოხდეს“,** — აღნიშნა ვოლსკიმ.

# ადვოკატი ადასტურებს, რომ სალომე ზურაბიშვილმა მკვლელობისთვის გასამართლებული ასლან ბეჟანიძე შეიწყალა

**საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა დავით ოთხმეზურის მკვლელობისთვის გასამართლებული ასლან ბეჟანიძე შეიწყალა. ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს პირველ არხს ადვოკატმა ირაკლი ჩომახაშვილმა დაუდასტურა.**

როგორც ადვოკატი აცხადებს, ასლან ბეჟანიძე უდანაშაულოა და მისი შეწყალება „დაგვიანებულიც“ კი არის.

**„უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თავად ვისაც ეს საქმე ეწერა უზენაეს სასამართლოში გიორგი შავლიაშვილს, თვლიდა, რომ ასლან ბეჟანიძე იყო უდანაშაულო. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოებით ორი მოსამართლე თვლიდა, რომ ის იყო დამნაშავე და ცნო დამნაშავედ“,** — განაცხადა ადვოკატმა.

ირაკლი ჩომახაშვილის თქმით, ასლან ბეჟანიძის საქმე დაცვის მხარეს გასაჩივრებული აქვს ევროპის სასამართლოში.

**„ადვოკატები ვთვლით, რომ ასლან ბეჟანიძის შეწყალება საკმაოდ დროული იყო, შეიძლება ითქვას დაგვიანებულიც კი. ვინაიდან სრულიად უდანაშაულო ადამიანი იჯდა ციხეში, ამიტომ ვთვლით, რომ არსებობდა ყველა ის გარემოება, რომ ასლან ბეჟანიძე შეწყალებული ყოფილიყო. ჩვენ რა თქმა უნდა, ბრძოლას ვაგრძელებთ ევროპის სასამართლოში, თუ დაადგინა ევროპის სასამართლომ მეექვსე მუხლის დადგენა, ჩვენ შევიტანთ აუცილებლად საპელაციო სასამართლოში და მოვითხოვთ ასლან ბეჟანიძის გამართლებას.**

ცნობისთვის, 2018 წლის 29 მარტს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე, ასლან ბეჟანიძეს განზრახ მკვლელობისთვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით შეუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 9 თვის ვადით.

**სალომე ზურაბიშვილმა, 27 აგვისტოს, მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, 34 მსჯავრდებული შეიწყალა.**

# გია ვოლსკი „ევროპული საქართველოს“ ინიციატივას მზაკვრულ გეგმას უწოდებს



საპარლამენტო უმრავლესობის შეფასებით ინიციატივა ხელს შეუწყობს ქვეყნის „ეკონომიკური ინტერვენციის გამაგრებას“.

**„არის გარკვეული საკითხები, რაზედაც მყისიერი რეაქციაა საჭირო. ადამიანები, რომლებიც თავის კოლეგას, მანდილოსანს მიმართავენ, რომ გაანადგურებენ, ყველაზე სუსტ ადგილში დაგარტყამ, ეს მაზოხიზმია, თუ სადიზმია, არ მესმის. ზუსტად იცის, რომ პასუხი შეუბრუნდება. სადიზმის თემაც არ მესმის, რადგან ვამპირის კბილები უკვე დააძრეს და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ახალი ამოუვიდეთ. რაც შეეხება იმ „უმტკივნეულო“ რეზოლუციას. ეს უმტკივნეულო რეზოლუციები რატომ შემოგაქვთ და მეორეც — ეს არ არის უმტკივნეულო რეზოლუცია. ეს არის საკმაოდ მზაკვრული გეგმა, ადრე თუ ხელი შეუწყვეს სამხედრო ინტერვენციას, ახლა ეკონომიკური ინტერვენცია გაძლიერდეს და გამაგრდეს“,** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გიორგი ვოლსკიმ პარლამენტის 17 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე.

„ევროპული საქართველო“ პარლამენტს „ოკუპაციის საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგში აქტუალიზაციის თაობაზე“ სპეციალური დადგენილების მიღებას სთავაზობს.

# ბოკერია ძალაზე მოვიდა... ორი დღეა, მუშტებს იქნევს

**საქართველოს პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე და „ევროპული საქართველოს“ წევრი გიგა ბოკერია.**

დაპირისპირების მიზეზი შოთა ხაბარელის კითხვა გახდა, რომელიც მან გიგა ბოკერიას დაუსვა. ხაბარელმა საკუთარ გამოსვლაში ქართველი სპორტსმენების მიღწევებზე ისაუბრა და ამ მიმართულებით ხაზი გაუსვა ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას. შოთა ხაბარელმა ბოკერიას კითხვით მიმართა, ქართველი სპორტსმენების მიღწევები არის თუ არა ხელისუფლების დამსახურება.

კითხვის დასმის დროს გიგა ბოკერია სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც ბოკერია სხდომაზე დაბრუნდა, სიტყვით გამოსვლისთვის დრო ითხოვა და აღნიშნა, რომ სპორტსმენების მიღწევა თავად მათი დამსახურებაა და არც მოქმედი და არც წინა ხელისუფლების დამსახურება არ არის. ამის შემდეგ მამუკა მდინარაძემ გიგა ბოკერიას მოუწოდა, კითხვის არსი სწორად გაეგო და პასუხი ისე გაეცა, რის შემდეგაც ერთმანეთს „ტუტუცი“ უწოდეს.

ბოკერიამ მდინარაძეს მიმართა: **„თითი სხვისკენ გაიქნიე, უზრდელი ტუტუცი ხარ“, რაზეც თავის მხრივ, მდინარაძემ ბოკერიას მიმართა: „ტუტუცი ნაგავი ხარ, ადრე გეძველბიჭა“.**

დაპირისპირებაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ჩაერთო. მან გიგა ბოკერიას კორექტულობისკენ მოუწოდა.

**„გუშინ სოფიო ქაცარავას დაემუქრეთ განადგურებით, დღეს მამუკა მდინარაძეს ლამის პერსონალურ შეურაცხყოფას აყენებთ. პროცედურული კითხვა გქონდათ და მიიღეთ პასუხი. თქვენ დაადგიანეთ. გექნებათ განცხადების დრო და იქ მოვისმენთ თქვენს პასუხებს“,** — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

---

სუსი საქართველოს ნატოში გაწევრებაზე. ვფიქრობ, ქართველებმა ეს კარგად იციან. არ ვაპირებ ისეთი რამის თქმას, რაც არ არის მართალი, მხოლოდ იმისთვის, რომ ვასიამოვნო საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ნატოში გაწევრება სურთ. ფაქტი არის ის, რომ ნატოს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს საბოლოო ბედი, თუკი ის ამას აირჩევს, არის ნატოს წევრობა, სავსებით კეთილგონივრული პოზიციაა. აგრეთვე სიმართლეა, რომ დღევანდელ ვითარებაში ეს გადაწყვეტილება არ შესრულდება. პრაქტიკულად, რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის? ეს ნიშნავს: ერთი — თუკი საქართველოს სურს, მან უნდა შეინარჩუნოს თავისი მიზნები და მეორე — საქართველოს აქვს შესაძლებლობა, რეალურად ახლავე დაიწყოს ალიანსის წევრობისთვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რადგან საქართველოსთვის ღიაა ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობა, რაც სავსებით არ არსებობდა პოლონეთისთვის 30 წლის წინ. ასე რომ, საქართველოს აქვს როგორც არახელსაყრელი პოზიციები, აგრეთვე უპირატესობები. ჩემი რჩევა ქართველებისთვის დღეს არის: იყავით პრაქტიკულები! იმუშავეთ ორმხრივ სამხედრო კავშირებზე აშშ-სა და ნატოს სხვა ქვეყნებთან და რაც ყველაზე მთავარია, იმუშავეთ საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისთვის, რადგან ეს შექმნის პოლიტიკურ კაპიტალს, რომელიც საქართველოს სჭირდება და რომელსაც ის გამოიყენებს, როცა ამის დრო დადგება.

**— ნება მომეცით, კიდევ ერთ საკითხზე ვთქვა, რომელიც აგრეთვე მიჩნეულია ერთგვარ შეცდომად - ეს არის დასავლეთის რეაქცია რუსეთის 2008 წლის აგრესიაზე საქართველოს წინააღმდეგ. ეს რეაქცია დიდად განსხვავდება იმისგან, რაც დასავლეთს ჰქონდა 2014 წელს, უკრაინის ტერიტორიის ანექსიის შემდეგ. სულ მცირე, ამის გამოსწორება მაინც არის შესაძლებელი?**

— არ ვიცი, რას გულისხმობთ შეცდომაში: რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთს არ მოუხდენია საქართველოს ტერიტორიის ანექსია, არამედ შეეცადა, მოეგლიჯა საქართველოსთვის ორი სეპარატისტული რეგიონი. გარკვეული თვალსაზრისით ეს აგრეთვე იყო რუსეთის მცდელობა, ძალის გამოყენებით შეეცვალა ქვეყნის საზღვრები. დასავლეთმა ამას არ უპასუხა სანქციებით, როგორც ეს გააკეთა 2014-ში, უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ. ბუშის ადმინისტრაციას დრო ეწურებოდა და რაც მან გააკეთა სანქციების ნაცვლად, ეს იყო მობილიზაცია, თუ არ ვცდები, 4 მილიარდი დოლარისა.

**— 4,5 მილიარდისა.**

— დიახ, 4,5 მილიარდი დოლარის ფონდის მობილიზაცია, რომელშიც 1 მილიარდი ამერიკული ფული იყო. ამას ორგანიზება გაუწია ბუშის ადმინისტრაციამ, იმ დროისთვის სენატორ და ოპოზიციის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატ ჯო ბაიდენთან ერთად. ამას ხაზს ვუსვამ იმის გამოც, რომ ახლა ჯო ბაიდენი პრეზიდენტობისთვის იბრძვის. ის შუაგული, გახურებული საარჩევნო კამპანიის ფონზე დაეხმარა ბუშის ადმინისტრაციას საქართველოს მხარდაჭერაში. ეს მას არ გაუკეთებია რაიმე პოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად. ჯო ბაიდენმა ეს გააკეთა იმის გამო, რომ ასე თვლიდა სწორად. ბუშის ადმინისტრაციამ კი მიიღო ჯო ბაიდენის რჩევა. ეს მოხდა შექმნილი რთული ვითარების გამო და იყო შუაგულ საარჩევნო კამპანიაში ორპარტიული თანამშრომლობის შესანიშნავი წარმოჩენა. მე მიხარია, რომ ბუშის ადმინისტრაციამ ეს გააკეთა და ეს არის, რაც ჩვენ გავაკეთეთ სანქციების ნაცვლად. თქვენ შეიძლება მომიტრიალდეთ და მითხრათ — რატომ ორივე არ გააკეთეთო? და მე შეიძლება დაგეთანხმოთ, თუმცა, 2008 წელს ჩვენ არ ვიყავით სანქციების გამოყენებაში ისეთი საზრიანები, როგორებიც ახლა ვართ. 2008-დან 2014 წლამდე სანქციების მიმართ უფრო ჭკვიანური მიდგომა ჩამოგვიყალიბდა. 2014 წელს მე ვიყავი სახელმწიფო დეპარტამენტის კოორდინატორი სანქციების საკითხზე. ასე რომ, მე და ჩემმა კოლეგებმა ხაზინიდან გავუწიეთ ორგანიზება რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს. მაშინ რომ ის მცოდნოდა, რაც ახლა ვიცი, მე იგივესთვის ვიბრძოლებდი 2008-შიც. მაგრამ მაშინ ეს ცოდნა არ მქონდა.

**— გმადლობთ ამ გულწრფელი პასუხისთვის. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გააკეთოს საქართველოსნაირმა ქვეყანამ იმისათვის, რომ საბოლოოდ დააღწიოს თავი საბჭოთა წარსულსა და რუსეთის ზეგავლენას?**

— ეს ქართველებზეა დამოკიდებული. საქმე ისაა, რომ თქმა ადვილია და გაკეთება ძნელი. მე იოლ გზას ავირჩევ და გეტყვით — ააშენეთ დემოკრატიული ინსტიტუტები. ძლიერი ლიდერი არ ნიშნავს ძლიერ საქართველოს. ძლიერი საქართველო არის: მთავრობა ძლიერი ინსტიტუტებით, რომლებიც დამოუკიდებლები არიან და მუშაობენ კანონის უზენაესობის დაცვით; ძლიერი საზოგადოება, ასევე დამოუკიდებელი, ძლიერი ინსტიტუტებით. ასე რომ, საქართველოს ძლიერება ეს არის და ეს ქართველების გასაკეთებელია. ამერიკელების საქმე არ არის, გითხრან, როგორ გააკეთოთ ეს. ქართველებმა შესანიშნავად იციან, როგორი უნდა იყოს დემოკრატია და ამის გაკეთება ქართველების ხელშია. თქვენ შეუდექით ამის კეთებას „ვარდების რევოლუციით“. ეს იყო თქვენი მიზანი, როცა ქართველებმა არჩევნების გზით გაუშვით ხელისუფლებიდან სააკაშვილი.

**— ახლა რა?**

— ეს ქართველების საქმეა. ამერიკელებისგან არ გჭირდებათ იმის თქმა, რა უნდა გააკეთოთ. მომდევნო არჩევნები მოდის და შემიძლია გითხრათ, რომ ამერიკის გზავნილი საქართველოს მთავრობისა და ოპოზიციის მიმართ არის ერთი — ეს თქვენი ქვეყანაა და ქართველების ხელშია, მოვლენები წარმართონ დემოკრატიული გზით და რადგანაც მთავრობის ხელშია ძალაუფლება, მთავრობისავე ხელშია — სათანადოდ იმუშავებს თუ არა დემოკრატია.

**— თქვენ აქ შეხვედრები გქონდათ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, არა?**

— ამერიკელები ძალიან ბევრ ადამიანს ხვდებიან ხოლმე. დიახ.

**— კარგით და, შეგიძლიათ, გაგვიზიაროთ ინფორმაცია ამ შეხვედრების შესახებ?**

— მე „ატლანტიკურ საბჭოს“ წარმოვადგენ, რომელიც შეხვდა ბატონ ივანიშვილს, საქართველოს პარლამენტის სპიკერს, საქართველოს თავდაცვის მინისტრს და ოპოზიციას. ყოველთვის ასე ვიქცევით — ვხვდებით მთავრობას და ოპოზიციას. სხვათა შორის, საქართველოს ელჩი ვაშინგტონში ასევე ხვდება რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს — ადმინისტრაციასა და ოპოზიციას. ეს მისი საქმეა და ამას კარგად აკეთებს.

**— რა იყო მთავარი გზავნილი? უკაცრავად, რომ გეკითხებით.**

— სავსებით გამართლებულია ამის კითხვა. ჩვენი გზავნილი ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიმართ იყო ის, რაზეც უკვე მოგახსენეთ.

**ნინო გელაშვილი**

# კრამერი ... ირმას

**„პატრიოტთა ალიანსმა“ საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გამართა. ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებით, მიზეზი 10 სექტემბერს თბილისში გამართული საერთაშორისო კონფერენციაა, სადაც პარლამენტის ვიცე-სპიკერ ირმა ინაშვილსა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილ თანაშემწე დევიდ კრამერს შორის შელაპარაკება მოხდა. ინაშვილის გზავნილია, საერთაშორისო პარტნიორმა ქართველ ხალხს დაუგდოს ყური, ეს იქნება ამერიკა თუ ევროპის რომელიმე ქვეყანა. დევიდ კრამერის ქმედება რომ არაკორექტული იყო, ამაზე საუბრობს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, რომლის განცხადებით, დასავლეთი ძალიან ხშირად უშვებს შეცდომებს.**

**გვესაუბრება რამაზ საყვარელიძე.**

# „პატრიოტთა ალიანსი“ „ნაციონალებს“ ერთადერთი რამისთვის სჭირდებათ - თავად არ დაბრალდეთ რუსეთის გავლენა“

**— ირმა ინაშვილის და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწის დევიდ კრამერის დაპირისპირებას მოჰყვა გაგრძელება უკვე აშშ-ის საელჩოსთან. „პატრიოტთა ალიანსმა“ საპროტესტო აქცია გამართა, სადაც ითქვა, რომ ჩვენ არ ვართ დასავლეთის კოლონია. ყველაფერი დაიწყო კონფერენციით, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ მიერ იყო ორგანიზებული, სადაც განხილვის თემა იყო „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური ორიენტაცია. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკური კლიმატი „პატრიოტთა ალიანსზე“ გადის?**

— ჯერჯერობით არ გადის, მაგრამ იმდენს იზამენ, რომ გავა, რადგან სწორედ, ეს კურსი აქვთ აღებული, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ გადააქციონ ცენტრალურ თემად, სხვა რა თემა აქვთ. ძირითადი თემა აქვთ, რომ არ ვარგა ივანიშვილი, რადგან რუსეთის კაციაო, მაგრამ ეს რითი უნდა დაამტკიცონ, ამიტომ იპოვეს ასეთი გზა — ივანიშვილი მფარველობას უწევს „პატრიოტთა ალიანსსო“. დიახ, „ნაციონალების“ ორგანიზებული იყო ეს კონფერენცია და სავარაუდოდ, ამავე ორიენტაციის ხალხი იყო იქ შეკრებილი, რომელთა გზავნილი იყო — დასავლური ორიენტაცია საფრთხის ქვეშ არის „პატრიოტთა ალიანსის“ გამოო. ეს ხომ იმ აუდიტორიაზე გათვლილი გზავნილი იყო.

**— ანუ, ივანიშვილის პრორუსულობის დასამტკიცებლად იყენებენ „პატრიოტთა ალიანსს“?**

— „პატრიოტთა ალიანსი“ „ნაციონალებს“ ერთადერთი რამისთვის სჭირდებათ — თავად არ დაბრალდეთ რუსეთის გავლენა. ახლა გახშირდა ლაპარაკი „ნაციონალების“ პრორუსულობაზე, ხან „ქართული ოცნება“, ხან სალომე ზურაბიშვილი და ხან კიდევ ვინ, უკვე ღიად ამბობენ, რომ 2008 წლიდან „ნაციონალები“ რუსეთის ინტერესებს ატარებდნენ. ამ თემაზე კონტრდარტყმას აკეთებენ იმით, რომ ივანიშვილს აბრალებენ რუსეთის კაცობას და რაღა თვითონ იმართლონ თავი, აგერ ივანიშვილმა იმართლოს თავი, რუსეთის კაცი არის თუ არა. მათი მეთოდი ხომ ეს არის, რომ მე ვიტყვი და მერე მან იმართლოს თავი, ეს ერთგვარი პიარსვლაა. უკვე აღარ ჭრის ის, რომ რუსეთში აქვს ფული გაკეთებული და ძირითად არგუმენტად აქვთ ის, რომ „პატრიოტთა ალიანსს“ უჭერს მხარს.

**— რაში გამოიხატება ეს მხარდაჭერა?**

— ეს, ალბათ, ცალკე მსჯელობის საკითხია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კარგად გამოჩნდა ბოკერიას რიტორიკაში, რომ მისთვის მთავარია, ახსენოს ივანიშვილი და მისი მხარდაჭერა გახადოს პატივცემული სტუმრების დასაფიქრებელი თემა, თორემ, თავისთავად, არა მგონია, თავი შეეწუხებინათ ამ პარტიის ხსენებით.

**— რაც შეეხება თავად კრამერის ქმედებას, როგორც დიპლომატის — „გაეთრიე აქედან“ — მიმართა ინაშვილს, თუნდაც რომ პრორუსულ პარტიას წარმოადგენდეს, ეს აძლევს უფლებას საქართველოს პარლამენტის წევრს მიმართოს ამ ფორმით და ტერმინით, მით უმეტეს საქართველოში?**

— არა, რა თქმა უნდა. არანაირი პოლიტიკური და მორალური უფლება არ ჰქონდა, ასე მოქცეოდა პარლამენტის წევრს. ერთადერთი რაც დამაფიქრებელია, სავარაუდოა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ისევ ინარჩუნებს დასავლეთის გარკვეული წრეების სიმპათიას და ძალიან ხშირად, ეს ადამიანები მოქმედებენ დაახლოებით ისე, როგორც „ნაციონალური მოძრაობა“. ამ შემთხვევაში კრამერის სტილი იყო ნაციონალური სტილი, როცა შეურაცხყოფა ხდება პოლიტიკური ინსტიტუტის. სწორედ, თვითონ გვევუბნებიან, რომ ასეთი შეცდომის დაშვება შეუძლებელია იყოს ევროპულ პოლიტიკაში და თურმე მათთვის შესაძლებელია და ჩვენთვის შეუძლებელია. მეეჭვება, რომ რუსეთის ინტერესების შემცირება და საკუთარი ქვეყნის ინტერესები იყოს ამ შემთხვევაში წამყვანი, შეიძლება — პირიქით.

**— კრამერის ქმედება გაზრდის ანტიდასავლურ განწყობას ქვეყანაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს დასავლურ ღირებულებებს, მით უმეტეს, რომ კოჰაბიტაციაც დასავლეთის მოთხოვნა იყო, რომელმაც აგრესია გამოიწვია დასავლეთის მიმართ?**

— გეთანხმებით, რომ ნებისმიერი ასეთი ნაბიჯი დისტანციას აჩენს. რუსი ჯარისკაცი, რომელსაც მავთულხლართი გაყავს, რა თქმა უნდა, ანტირუსულ განწყობას აღვივებს. ანალოგიურად, ევროპელი დიპლომატი იქნება თუ სხვა, რომელიც შენს ინტერესებს არად ჩაგიგდებს, ის ანტიევროპულ განწყობას აღვივებს. ყველა ისეთი ნაბიჯი, რომელიც შენ გზლუდავს და შეურაცხყოფას გაყენებს, მიუღებელია, მაგრამ ფიქრობენ! დასავლეთმა ძალიან ხშირად გადადგა თავისთვის წამგებიანი ნაბიჯები. ახლა ჩეხოსლოვაკია აპირებს, უკან გაიწვიოს კოსოვოს აღიარება. ამ საკითხზე მსოფლიო ამბობდა, რომ სახიფათოა კოსოვოს აღიარება, იმიტომ, რომ ეს მერე ჩვენნაირ ქვეყნებში, სადაც კონფლიქტი არსებობს, იქ გამოიწვევდა შესაბამის პროცესს. ჩვენთან გამოიწვია კიდეც. პუტინი, რომელიც არ ემხრობოდა კოსოვოს აღიარებას, გამოაცხადა, რომ თუ აღიარებთ კოსოვოს დამოუკიდებლობას, მაშინ მე ვაღიარებ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთსო. ეს თქვა და ამას მოჰყვა 2008 წლის ომი.

ეს ჩვენი ფრაგმენტია მხოლოდ, მაგრამ არ დაფიქრდა დასავლეთი, მას რას მოუტანდა ეს ყველაფერი. დასავლეთი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს საიმისოდ, რომ ეს პრეტენზიები გვქონდეს მასთან. ჩვენ დასავლური ორიენტაცია იმიტომ კი არ გვჭირდება, რომ დასავლეთი უშეცდომოა ყველაფერში, იმიტომ, რომ დასავლური ცივილიზაცია არის უფრო გამართული, უფრო პროგრესული, უფრო შედეგიანი თვითონ მოსახლეობისთვის და რაც მთავარია, დასავლური ცივილიზაციის პირობებში ჩვენ და დასავლეთს ინტერესები ერთნაირი გვაქვს. ვინც დასავლეთს მიაჩნია თავის მტრად და ამ შემთხვევაში რუსეთს ვგულისხმობ, იგივე მტერი გვყავს ჩვენც.

**— კოსოვოს მაგალითი რომ ავიღოთ, შეიძლება ვთქვათ, რომ დასავლური პოლიტიკა შეცდომებზე არის აგებული და დაშორებული დასავლურ ცივილიზაციას, ღირებულებებს?**

— რამდენად ხშირად უშვებს დასავლეთი შეცდომებს? — სამწუხაროდ, ძალიან ხშირად უშვებს შეცდომებს. სამწუხაროდ, იმიტომ, რომ დღეს ცალსახად ჩვენი პარტნიორია დასავლეთი და ამიტომ არის სამწუხარო. შეცდომების ქვეშ ვგულისხმობ იმას, რასაც ხშირად აყვედრიან. კერძოდ, ის, რომ დასავლეთმა ვერ მოახერხა საემიგრაციო პოლიტიკის ისე გამართვა, რომ მერე ბუმერანგივით უკან არ დაუბრუნდეს ემიგრანტების საკითხი. იყო ამაზე ლაპარაკი? — იყო. მერკელმა აღნიშნა, არ გამოგვივიდა ის პრინციპი, რაც ჩვენ გვინდოდა, ასიმილაციას არ ახდენს აქ შემოსული ემიგრანტებიო. რამე გააკეთეს შესაცვლელად? — არაფერი. ასე არ არის, რომ რასაც დასავლეთი გადაწყვეტს, ეს ყოველთვის კარგად გათვლილი და გააზრებულია — სამწუხაროდ. ჩვენს ბედზე არაერთხელ გვაქვს გამოცდილი, რომ შეცდომები დასავლეთსაც მოსდის.

**— და როგორ უნდა მოიქცე ისე, რომ ამ შეცდომებს არ შეეწირო?**

— ამაზე შენ თვითონ უნდა დაფიქრდე. რახან დასავლეთი ითხოვს, ასე უნდა გავაკეთოთ, ეს არ უნდა იყოს მთავარი. ჩვენს თავზე ჩვენ თვითონ უნდა ვიფიქროთ. სამწუხაროდ, ჩანს, რომ სააკაშვილის მოღვაწეობის მიმართ პრეტენზია დასავლეთს არ ჰქონდა და არ იყო მიუღებელი.

**— დასავლეთი რატომ ინარჩუნებს სააკაშვილის მიმართ პოლიტიკურ სიმპათიებს?**

— იმიტომ, რომ სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რისი გაგონება უნდა დასავლეთს და რახან ეს კარგად იცის, რიტორიკა აქვს ანტირუსული,

სამაგიეროდ საქმეს აკეთებს პრორუსულს.

**— გასაგებია, მაგრამ სწორ ანალიზს რატომ ვერ აკეთებს დასავლეთი? 2008 წლის ომი, ომის შემდეგ რუსეთისთვის სტრატეგიული ობიექტების გადაცემა, იგივე ენგურჰესი, განცხადებასა და მოქმედებას შორის რა კავშირია, ამ ანალიზს ვერ, თუ არ აკეთებს დასავლეთი?**

— რა გითხრათ, სამწუხაროდ — ვერ. დასავლეთს უამრავი პრობლემა აქვს, რომლის გადაწყვეტა მას სჭირდება და ვერ გადაუწყვეტია, იგივე მიგრაციის თემა. ანალოგიური თემები ძალიან ბევრია, რაც დასავლეთისთვის პრობლემურია. მას ეკონომიკური პრობლემები არ აქვს, თორემ სხვა უამრავი პრობლემა აქვს, რომელსაც ვერ წყვეტს. იგივე ეს ინციდენტი რომ ავიღოთ, ინაშვილმა იქ მივარდნით დაამტკიცა, რომ არის აგრესიული დამოკიდებულება პროევროპული მოძრაობასა და პრორუსულ ძალებს შორის.

**— სხვა დროს თვითონ გვასწავლიან ჭკუას, სიძულვილის ენა დასავლეთის მოგონილი ტერმინია, სიძულვილის ენაზე მძიმე იყო კრამერის ქმედება. სად გადის კრამერის ქმედებაში სიტყვის თავისუფლება, სად ჩანს დასავლეთის ქმედებაში, რომ განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის პოლიტიკური ძალა არის დემოკრატიის მანიშნებელი?**

— ძალიან რთულ საკითხებზე მელაპარაკებით. კანონის დაცვა არის ერთ-ერთი ღირებულება. რევოლუცია არის მიუღებელი მოვლენა დასავლეთისთვის. ვარდების რევოლუციას დაუკრა ტაში დასავლეთმა? — კი. თქვა, რომ პოლიტიკური ძალა, რომელიც მე მაწყობს, იმან დაარღვიოს კანონი, რა მოხდა მერეო. რეიგანის ცნობილი გამოთქმაა ერთ-ერთ ლიდერზე — „ის, რა თქმა უნდა, მამაძაღლია, მაგრამ ჩვენი მამაძაღლია“. ამიტომ, სასურველია, დასავლეთსაც შევხედოთ როგორც ადამიანებს და არა როგორც შაბლონებს, რაც წერია წიგნებში ადამიანთა უფლებების თაობაზე.

კოსოვოს შემთხვევა ვახსენეთ, ტერიტორიული მთლიანობის გადახედვა დაუშვებელია დასავლური პოლიტიკისთვის, ამ დროს კოსოვოს თემაში ფაქტიურად დასავლეთმა დაუშვა საზღვრების გადასინჯვა, რატომ? — იმიტომ, რომ კოსოვოს თემა საშუალებას აძლევდა რუსეთს დაპირისპირებოდა და თვლიდა, რომ ამით რუსეთთან ჭიდაობაში მოიგებდა, ეს პოლიტიკა იყო ჩადებული კოსოვოს აღიარებაში.

**თამთა ქარჩავა.**
**FOR.GE**

# ნიცაღმდეგ

# საქართველოზე გადმოფარებული „მზრუნველი“ კალთა

**საქართველოს საზოგადოება კარგა ხანია, მიეჩვია საკუთარ ქვეყანაში სტუმრის როლში ყოფნას. რა გაეწყობა, როდესაც არც ძალა გაქვს, არც ღონე და პოლიტიკური თვითშეგნებაც გღალატობს, უაზრო თავის მართლების რეჟიმში ხარ. და არგუმენტად „მეგობარი“ უკრაინა მოგყავს — ჩვენზე ტერიტორიით დიდ და მოსახლეობით მრავალმილიონიან უკრაინაში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი სათათბირო მაგიდის თავში იჯდა და საგონებელში მყოფ მასპინძელთა პოლიტელიტას ნოტაციას უკითხავდაო.**

იყო, ნამდვილად იყო მსგავსი რამ — ამერიკელთა თავხედური ყოვლისშემძლეობის დამადასტურებელი მაგალითი, სწორედ ამიტომაც შემოიარა ამ ვიდეოკადრმა მსოფლიოს ტელეეკრანები — უკომენტაროდ.

იმას, რასაც თბილისში ჰქონდა ადგილი, პოლიტიკური თვალსაზრისითაც და პროტოკოლითაც ვერ გავუთანაბრებთ ვიცე-პრეზიდენტის მა-

გალითს, მაგრამ ქვეყნის მარტივი წესების, ელემენტარული ზრდილობის ნორმების დარღვევას უდავოდ გავიხსენებთ და ვისურვებთ, რომ მსგავსს არასდროს ჰქონდეს ადგილი სტუმრის მხრიდან — რა დიდი თუ ძლიერი სახელმწიფოს წარმომადგენელი არ უნდა იყოს ის. სტუმრის მოურიდებელი ქცევა, საკუთარ უკულტურობასთან ერთად, მასპინძელთა მოჭარბებული მლიქვნელობითაც არის გამოწვეული.

თითქმის 30 წელია, სისტემატურად ვთხოვთ, ვეხვეწებით, ვემუდარებით ამერიკა-ევროპას თქვენს ოჯახში მიგვიღეთ, თქვენი მზრუნველი კალთა გადმოგვაფარეთ და რასაც მოისურვებთ, ყველაფერს შეგისრულებთო.

**ამის შემყურე, შინაგანი კულტურითა და უზადო ქცევით დაჯილდოებულიც, თავს ზეკაცად წარმოიდგენს, არათუ აშშ-ის ერთ-ერთი ინსტიტუტის (გარდაცვლილი სენატორის მაკკეინის სახელს რომ ატარებს) რიგითი ექსპერტი კრამერი, რომლის ყვირილმა — „გაეთრიეთ“, „გაეთრიეთ“ და შესაბამისმა სახის გამომეტყველებამ წარუშლელი შთაბეჭდილება (ცუდი გაგებით) დატოვა ყველა იმაზე, ვინც ტელეეკრანით იხილა — ლამის ხელჩართულ ჩხუბში გადასული შეხლა-შემოხლა „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერ ინაშვილსა და „სტუმარს“ შორის.**

ნამდვილი მასპინძლების, ანუ აქაურების ხმა არსად ისმოდა და თუ ისმოდა, ისიც კანტიკუნტად, ვინაიდან აქაურები სტუმრების როლში იყვნენ, ხოლო სტუმრები, მასპინძლების, რამეთუ ისინი ატარებდნენ სასტუმრო „რუმსში“ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და მაკკეინის ინსტიტუტის მეხუთე კონფერენციას.

მაკკეინის ინსტიტუტის თანამშრომელმა, კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თავს უფლება მისცა, სხდომის დარბაზში არ შეეშვა საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი. და არათუ არ შეეშვა, დაუყვირა კიდევაც — გადით, გადით აქედან, რაც ქართულად უფრო გაეთრიეს მიესადაგება.

მედიის მიხედვით, კრამერმა „მოუწოდა“ ინაშვილს და თანმხლებ ჟურნალისტებს, შენობიდან გასულიყვნენ.

არა ბატონებო, სცდებით! „გეთ აუთ, გეთ აუთ“ — მოწოდება კი არა სწორედ ისაა, რაც ზემოთ აღვნიშნე — „გაეთრიეთ“ და ნუ ცდილობთ, გავეშებული კრამერის გაკრავებას.

ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ, რომელმაც განმარტება სთხოვა ინაშვილს, ისიც უთხრა, რომ ინაშვილი არ ყოფილა მიწვეული კონფერენციაზე და სხვას რას ელოდა კრამერისგან?!

საინტერესოა, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ან პრეზიდენტს რომ მოსურვებოდათ კონფერენციაზე მისვლა — ასე „გაუმასპინძლდებოდა“ კრამერი?

კონფერენციას, რომელსაც ესწრებიან პარლამენტის რიგითი წევრები, არ ასწრებენ ვიცე-სპიკერს, რანგით მათზე მაღალს. იქნებ, აქ რანგს სულაც არა აქვს მნიშვნელობა?

**ვგონებ საკითხავიც არაფერია. ამ შემთხვევაში ინაშვილის პოლიტიკური ორიენტაციაა მთავარი — პრორუსულობა, კრემლის აგენტობა და არა თანამდებობა. კონფერენციის მონაწილე ხატია დეკანოიძემ, გიგა ბოკერიამ, სალომე სამადაშვილმა ხომ პირდაპირ, მოუხედავად გააგორეს მამალი ტყუილი — ინაშვილმა კრემლის დავალება შეასრულაო.**

**ასეა თუ ისე, ინაშვილის „შეჭრამ“ შენობაში შესაძლებლობა მოგვცა, საკუთარი თვალით გვნახა გააფთრებული ამერიკელი ექსპერტი, რომლის უმთავრესი მიზანი რეგიონში დაძაბულობის განმუხტვის ნაცვლად, კიდევ მეტი დაძაბვის შემოტანაა, თუმცა თვით კონფერენციაც ხომ ამ მიზნით ტარდება — რუსეთის წინააღმდეგ ახალ-ახალი პროვოკაციების მოწყობა?!**

**იქნებ, ეს უფრო ტრენინგია, ვიდრე კონფერენცია, ანუ ვარჯიში, როგორ უჩხვლიტონ რუსეთს, მის ხელისუფლებას, პრეზიდენტს?**

კონფერენციაში მონაწილე ლიბერალი რუსები, ანტირუსულად განწყობილი ამერიკელ-ევროპელი მტვერდაყრილი პოლიტიკოსები, „ოცნების“, „ნაცმოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“ და სხვა მისთანა პარტიების წარმომადგენლები ორი დღის განმავლობაში ხვეწდნენ რუსეთის წინააღმდეგ „მსუბუქი ძალის“ გამოყენების ხერხებს და მეთოდებს, ასწავლიდნენ ქართველ პოლიტიკოსებს რუსეთთან გამკლავების გზებს და ტაქტიკას.

შიგადაშიგ „სიბრძნით“ გაჟღენთილ რჩევებსაც აძლევდნენ, მაგალითად — რასმუსენი, იგივე კრამერი, სხვები, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი გავიხსენოთ 20-21 ივნისის ღონისძიება, რომელიც პარლამენტის შენობაში ჩატარდა და რომელსაც გავრილოვის მიერ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობა შეერქვა.

**საქართველოს პარლამენტის და ხელისუფლების თითქმის ოთხწლიანი თხოვნის შემდეგ მართლმადიდებელმა საპარლამენტო ასამბლეამ გადაწყვიტა თბილისში კონფერენციის ჩატარება. ტრადიციისდა მიხედვით ანალოგიური კონფერენციები პარლამენტის დარბაზში იმართება და აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობამ დარბაზი საპარლამენტო ასამბლეას დაუთმო, რაც იმას ნიშნავს, რომ კონფერენციის დღეს მასპინძელი, საპარლამენტო ასამბლეა იყო და არა საქართველოს პარლამენტი. და საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი დაიკავებდა სხდომის თავმჯდომარისთვის შესაფერის ადგილს ანუ პარლამენტის თავმჯდომარის.**

და როგორც კი მან ეს გააკეთა, წინასწარ ჩასაფრებული საპარლამენტო ოპოზიცია დარბაზში შევარდა და სხდომის თავმჯდომარე გავრილოვი ლამის მუჯლუგუნებით გააგდო დარბაზიდან, შემდეგ კი — ქალაქიდან. არადა, გავრილოვს, როგორც ასამბლეის პრეზიდენტს, ხომ შეეძლო დარბაზში შეჭრილი ნაცმოძრაობისთვის მოეთხოვა დარბაზის დატოვება?

ცხადია, შეეძლო. ის ხომ ღონისძიების ორგანიზატორი იყო, ისე, როგორც კრამერი, რომელმაც ირმა ინაშვილს ლამის მუშტი-კრივი გაუმართა. **პირველ შემთხვევაში** სტუმარი ისე მოიქცა, როგორც თავაზიან ადამიანს შეეფერება, მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს ის იყო მასპინძლის როლში.

**მეორე შემთხვევაში** — ანუ კრამერის, ყველამ ვიგრძენით, ვინ ვართ ჩვენ ჩვენივე ქვეყანაში. კრამერმა გვაგრძნობინა — „აქ, ვინ არის უფროსი“, ისე, როგორც ბაიდენმა კიევში.

გავრილოვს, რომ „სახელმწიფო გადატრიალება“ ჰქონოდა დაგეგმილი და რუსეთის მიერ თბილისის ოკუპაცია, გაოცებული დატოვებდა დარბაზს?

იმ დღის შემდეგ საქართველო, გავრილოვის სახელის ხსენებით იღვიძებს და იძინებს. რას არ აბრალებენ მას ნაცები, ქოცებიც კი (ნაცებს არ ეწყინოთო), სხვები, რიგითი მოქალაქეებით დაწყებული, ვითომ ექსპერტებით დამთავრებული.

**ორიოდ სიტყვით ა.წ. 20-21 ივნისის მოვლენების ნამდვილი ორგანიზატორების შესახებ. 2019 წლის თებერვალში ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „თავისუფალი რუსეთის ფონდმა“ გახსნა თავისი ოფისი თბილისში. დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მრჩეველი კრამერი და საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი კელი. ფონდის ხელმძღვანელად დაინიშნა ანტირუსი ჟურნალისტი ეგორ კუროპტევი, რომელიც სისტემატურად ატარებს „თოქ-შოუებს“ სათაურით „სასაზღვრო ზონა“.**

**„თოქ-შოუებში“ მონაწილეობას ღებულობენ ამერიკელი ექსპერტები, დიპლომატები, პოლიტიკოსები, რომლებიც გამოირჩევიან მოჭარბებული ანტირუსულობით. ერთ-ერთ „თოქ-შოუში“ ჟურნალისტმა მიიწვია ჩვენთვის ცნობილი კარპენტერი, რომელიც 20-21 ივნისის მოვლენებამდე რამდენიმე დღით ადრე აფრთხილებდა საქართველოს ხელისუფლებას, შორს ყოფილიყო რუსეთისგან, არ მიეღო ამ ქვეყნიდან ტურისტები, ვინაიდან ტურისტებში მრავლად არიან ფსბ-ს ჯაშუშები. არ მიეყიდათ რუსებისთვის ბინები, უძრავი ქონება, იმიტომ რომ რუსეთი, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%, უძრავი ქონების შეძენით შესძლებს საქართველოს 100%-იან ოკუპაციას.**

აღნიშნულ ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირი დაამყარეს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ევროპულმა საქართველომ“. ამერიკელებისთვის, ისე, როგორც აღნიშნული ოპოზიციური პარტიებისთვის მართლმადიდებლური ასამბლეის ჩატარების თაობაზე კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი. აღნიშნულმა ფონდმა შეიმუშავა გეგმა იმისა, თუ როგორ გამოეყენებინათ ეს ღონისძიება საპროტესტო გამოსვლების მოსაწყობად და ქვეყანაში ხელისუფლების ჩასანაცვლებლად.

მოწოდებები და ლოზუნგები აშშ-ის ექსპერტების მიერ იყო შეთხზული და 20-21 ივნისის მოვლენებამდე დამზადებული. ქართველი „პატრიოტები“ მარიონეტების როლს ასრულებდნენ ამერიკელთა დირიჟორობით. ასე რომ, 20-21 ივნისის ღონისძიების სცენარი აშშ-ში დაიწერა და არა საქართველოში ქართველების მიერ. ესეც კი იმპორტირებული იყო ამერიკიდან.

იხ. 8 გვ.

**მაკკეინის ინსტიტუტის თანამშრომელმა, კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თავს უფლება მისცა, სხდომის დარბაზში არ შეეშვა საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი. და არათუ არ შეეშვა, დაუყვირა კიდევაც — გადით, გადით აქედან, რაც ქართულად უფრო გაეთრიეს მიესადაგება.**

**მედიის მიხედვით, კრამერმა „მოუწოდა“ ინაშვილს და თანმხლებ ჟურნალისტებს, შენობიდან გასულიყვნენ.**

**კრამერს დრო გაჰყავს, რითაც რუსულ წისქვილზე უშვებს წყალს. პირდაპირი მოლაპარაკება რაღაც შედეგს მოიტანს. საერთაშორისო საზოგადოების ვითომ ზეწოლა — დროის გაფლანგვაა, რაც კრამერს და მისთანებს აძლევს შესაძლებლობას, ფული აკეთონ საქართველოს უბედურებაზე.**

**გვესაუბრება ჰამლეტ ჭიპაშვილი.**

**მსოფლიო ბანკის მიერ თაღლითობის ბრალდებით „შავ სიაში“ მოხვედრილ ჩინურ კომპანიას “ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი უკანონო მშენებლობის გამო საკუთრების მიტაცებაში ადანაშაულებს და სასამართლოში უჩივის. საქმე ეხება შემოვლითი სარკინიგზო გზის თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებულ მშენებლობას.**

**„ჩინეთის რკინიგზის მუდმივმოქმედი 23-ე ბიუროს“ „თაღლითობის“ დეტალებს იურისტი ირაკლი ქველაძე „კომერსანტს“ უყვება.**

# ვინ მფარველობს „შავ სიაში“ შეყვანილ ჩინურ კომპანიას?

**„2010 წელს შევიძინე მიწის ნაკვეთი, სადაც სახლი უნდა ამეშენებინა. დაახლოებით 2 წლის შემდეგ ჩინურმა კომპანიამ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ჩვენი, ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებიდან 7-10 მეტრის დაშორებით სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. იმ პერიოდში არ ვიმყოფებოდი საქართველოში და ამბის შესახებ გვიან გავიგე. ჩამოსვლის შემდეგ მოვახერხე, გამეფორმებინა ამ კომპანიასთან ხელშეკრულება და მივიღე მინიმალური კომპენსაცია. თუმცა, რეალური პრობლემა მას შემდეგ დადგა, რაც კომპანიამ სრულიად უკანონოდ დაიწყო საავტომობილო გზის გაყვანა, კერძოდ ჩვენი დასახლების წინ დაადაბლა ტერიტორია, რის გამოც გადაიკეტა ცენტრალური გზა და შემოვლითი მისასვლელი ჩემი მიწის ნაკვეთის გავლით გაიკეთეს. მოკლედ, ჩემი და სხვა მეზობლების პირადი საკუთრება სრულიად უკანონოდ გამოიყენეს“.**

როგორც ირაკლი ქველაძე „კომერსანტს“ უყვება, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაწყებული დავა „ქართული ოცნების“ მმართველობაში მოსვლის შემდეგაც არ დასრულებულა. მეტიც, 2012 წლამდე „ოცნების“ მომავალი დეპუტატები, მხარდაჭერის სანაცვლოდ, დაზარალებულებს დახმარებას ჰპირდებოდნენ. თუმცა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არც ირაკლი ქველაძე და არც მისი მეზობლები არავის გახსენებია.

დაზარალებულებმა დახმარებისთვის მიმართეს საქართველოს რკინიგზას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, თბილისის მერიას, საქართველოს პროკურატურას. ბოლოს საქმე სასამართლომდეც მივიდა, მაგრამ მიუხედავად ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს უკანონო ქმედებებისა და ცუდი რეპუტაციისა, არც ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი საქმით რეალურად არ დაინტერესებულა. როგორც დაზარალებულები აცხადებენ, პრობლემის მოგვარების ნაცვლად ყველა უწყებამ ხელი შეუშალა.

იურისტი ყვება, რომ ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურომ თავისი სამუშაოები რამდენიმე წლის წინ დაასრულა, დასახლების წინ გაავლო რკინიგზის ხაზი და მანქანის სავალი გზაც დააღრმავა. თუმცა, ირაკლი ქველაძის მსგავსად ცენტრალურ გზამდე მისასვლელი კიდევ ბევრ ადგილობრივ მაცხოვრებელს არა აქვს. ზოგიერთის მიწის ნაკვეთი საერთოდ კუნძულად იქცა და იმისათვის, რომ დასახლებული პუნქტიდან გამოვიდნენ, მეზობლების მიწის ფართობებზე უწევთ გადავლა.

ირაკლი ქველაძის თქმით, თავის დროზე ჩინური კომპანია მოსახლეობას არაფერზე შეთანხმებია, ამიტომაც ისე დააზიანა პირადი საკუთრება, რომ ამ პრობლემის მოგვარება უკვე შეუძლებელია.

პირადი საკუთრების ხელყოფის გამო მოსახლეობა სამართლის საძებნელად უწყებიდან უწყებაში დადიოდა, თუმცა უშედეგოდ.

**„პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შევეცადე, თავად კომპანიასთან მომეგვარებინა პრობლემა და დავკავშირებოდი, მაგრამ ამაოდ. ეს დღემდე შეუძლებელია. შემდეგ წავედი საქართველოს რკინიგზაში, რადგან ჩინური კომპანია სწორედ მისი კონტრაქტორი პარტნიორია. უწყებამ ჩემი წერილი თარგმნა და გადაუგზავნა მეორე მხარეს, მაგრამ გაუგებარი პასუხი მოიწერეს. ფაქტობრივად, თავიდან მოიშორეს და მერე არც რკინიგზას უცდია მეტი არაფერი. შემდეგ მივმართე პოლიციას, თბილისის მერიას, ეკონომიკის სამინისტროს — საბოლოო პასუხი იყო ის, რომ ესაა სამოქალაქო დავა და უნდა მივმართო სასამართლოს“,** — ამბობს იურისტი.

როგორც ირაკლი ქველაძე აღნიშნავს, ამ საქმეში კიდევ ერთი დეტალი გამოიკვეთა — იმის გამო, რომ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე სარკინიგზო სამუშაოები განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტებში მოიაზრება, ასეთ შემთხვევაში სამშენებლო ნებართვას გასცემს არა დედაქალაქის მერია, არამედ ეკონომიკის სამინისტრო. ამ უკანასკნელის მიერ მიღებულ პასუხში, რომელიც დაზარალებულ მოსახლეობას გაუგზავნეს, აღნიშნულია, რომ უწყების მიერ დადგენილ სამშენებლო კორიდორში სამუშაოები არ მიმდინარეობდა, შესაბამისად, ჩინურ კომპანიას არ ჰქონია სამშენებლო ნებართვა. ჩნდება საფუძვლიანი კითხვა:

**თუ მშენებარე კომპანიას ნებისმიერ შემთხვევაში სჭირდება სამშენებლო ნებართვა, მაგრამ მსგავსი დოკუმენტი არ მოეპოვება, არის თუ არა ეს კანონის დარღვევა და უნდა დაჯარიმდეს თუ არა ასეთ დროს კომპანია?** — კითხულობს ირაკლი ქველაძე.

**„ამ ძალიან რთულ სიტუაციაში ორი მნიშვნელოვანი ამბავია: ერთი, რომ ცალსახად დარღვეულია საკუთრების უფლებები, რაც კერძო ექსპერტიზის დასკვნითაც დასტურდება. მეორე — საქმე გვაქვს მასშტაბურ უნებართვო სამშენებლო სამუშაოებთან. როდესაც არც ერთი უწყება არ შეეცადა, სიმართლე დაედგინა (მისი კომპეტენციის ფარგლებში), ბოლოს წავედი სასამართლოში. პირველ ინსტანციაში ჩემი საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც გავასაჩივრე და საბოლოოდ მოთხოვნა საapელაციო სასამართლომ სრულად გაითვალისწინა. ამის შემდეგ მეორე მხარემ (ჩინურმა კომპანიამ) ეს გადაწყვეტილება გასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, ოღონდ ისე, რომ არც შუამდგომლობა, არც ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა და საერთოდ არაფერი წარმოუდგენია. ნაცვლად იმისა, რომ უზენაესს ეს გარემოება გაეთვალისწინებინა, საქმე წარმოებაში მაინც მიიღო როგორც განსაკუთრებით საინტერესო საქმე სასამართლოს განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ ასეთ დროს პრეცედენტის წარდგენაა მნიშვნლოვანი, რაც ასევე არ მომხდარა. საბოლოოდ უზენაესმა გააუქმა სააპელაციოს გადაწყვეტილება და უკან დაუბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად. ეს მოხდა მიმდინარე წლის გაზაფხულზე და ჯერ პროცესი არ ჩანიშნულა“.**

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, ირაკლი ქველაძემ სამხარაულის ექსპერტიზას მიმართა. ბიურომ საბოლოოდ დაამტკიცა, რომქველაძის პირად საკუთრების არა აქვს მისასვლელი გზა, რომელიც სამუშაოების დაწყებამდე ჰქონდა. ასევე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მისასვლელი გზა ცენტრალურიდან დაშორებულია 7-დან 12 მეტრის სიმაღლეზე, რაც მანამდე არ იყო. ამით, დაზარალებულის საჩივარის მართებულობა სამხარაულის ექსპერტიზამაც დაადასტურა.

**„მე მანამდე მქონდა კერძო ექსპერტიზის დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ მხოლოდ ჩემი ზარალი შეადგენს 27 ათას დოლარს. მაგრამ რადგან უზენაეს სასამართლოში მხოლოდ სამხარაულის ბიუროს გადაწყვეტილებაა მიჩნეული რელევანტურად, ამიტომ ახლა ეს საბუთიც მოვიპოვე, რათა კიდევ ერთი დამადასტურებელი დოკუმენტი მქონოდა. აქვე იმასაც მინდა ხაზი გავუსვა, რომ წლებია, ეს დავა გრძელდება და ამასობაში მორალურის და ფიზიკურის გარდა მივიღე უდიდესი ფინანსური ზარალი. საბუთების მოძიება, სასამართლო პროცესი, ბაჟის გადასახადი (ჯამში 10 ათას ლარამდე) და ა.შ. მოხდა ისე, რომ მე იურისტი ვარ და გადავწყვიტე, საქმე ბოლომდე მიმეყვანა, მაგრამ სხვა მაცხოვრებლები ამას ვერ ახერხებენ, რადგან დღეს სიმართლის დადგენა იმაზე ძვირი ჯდება“.**

გარდა ჩინეთის რკინიგზის მუდმივმოქმედი 23-ე ბიუროსი, ირაკლი ქველაძე პასუხისმგებლობას სახელმწიფო ინსტიტუტებსაც აკისრებს. მისი თქმით, როდესაც საქმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, კერძოდ უნებართვო მშენებლობას ეხება ეკონომიკის სამინისტრო ვალდებულია, დაინტერესდეს და საქმეში სამართალდამცველი სტრუქტურები ჩართოს. ასევე საქართველოს რკინიგზა ვალდებულია, მისი კონტრაქტორ პარტნიორებთან მიმართებაში უფრო მეტი პასუხისმგებლობით მუშაობდეს.

დაკმაყოფილდება თუ არა ქველაძის მოთხოვნა სასამართლოში და მიიღებენ თუ არა დაზარალებული საქართველოს მოქალქეები კომპენსაციას მსოფლიო ბანკის მიერ “შავ სიაში“ შეყვანილი კომპანიისგან, ეს გაურკვეველია. მანამდე „კომერსანტი“ შეეცადა, უშუალოდ სახელმწიფო უწყებების პოზიცია გაეგო:

საქართველოს რკინიგზა: **„ეს პროექტი დაახლოებით 9 წლის წინ დაიწყო და მალევე დასრულდა. ახლა ის ადამიანები, ვინც მაშინ რკინიგზაში მუშაობდნენ და პასუხისმგებლები იყვნენ, ჩვენთან აღარ არიან. შეიძლება აღარც ის ჩინელები არიან იმ კომპანიაში და სხვებმა ჩაანაცვლეს. თანაც, ჩვენს კონტრაქტორზე პასუხს არ ვაგებთ, მით უმეტეს 9 წლის წინანდელ ამბავზე. 9 წლის წინ რაღაც დავა დაიწყო რკინიგზასთან დაკავშირებით და ახლა რა უნდა გიპასუხოთ?!“**

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური: **„ჩვენ თავის დროზე გადავამისამართეთ ეს საქმე ეკონომიკის სამინისტროში, რადგან მათი პრეროგატივაა. ასევე აღვნიშნეთ, რომ სამოქალაქო დავაა და დაზარალებულს სასამართლოსთვის უნდა მიემართა. ამიტომ ამ ეტაპზე მხოლოდ ამის თქმა შეგვიძლია“.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქმის დეტალებს ამ დრომდე არკვევს. როგორც უწყებაში გვითხრეს, აღნიშნულ თემაზე კომენტარის გაკეთებისთვის დრო სჭირდებათ. ინფორმაციას მიღებისთანავე მოგაწვდით.

**აქვე გეტყვით იმასაც, რომ 2019 წლის 12 ივნისს მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმსხვილეს კონტრაქტორ კომპანიას - ჩინეთის რკინიგზის სამშენებლო კორპორაციას (CRCC) და მის შვილობილ კომპანიებს, მათ შორის ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ტენდერებში მონაწილეობა 9 თვით აეკრძალათ.**

მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, კომპანიამ აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის ტენდერში მცდარი ინფორმაცია წარადგინა, რითიც მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები დაარღვია. მსოფლიო ბანკის განმარტებით, კომპანიის მიერ ჩადენილი ქმედება თაღლითობად იქნა კვალიფიცირებული.

შეგახსენებთ, რომ ჩინეთის რკინიგზის სამშენებლო კორპორაცია საქართველოში სხვა მსხვილ პროექტებზეც მუშაობდა, მათ შორისაა თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი მაგისტრალის პროექტი და თბილისი-ბათუმის რკინიგზის მოდერნიზების პროექტი, რომლის ღირებულებაც 4278 მილიონ დოლარს შეადგენს.

ცოტა ხნის წინ კი ცნობილი გახდა, რომ კომპანია China Railway 23rd Bureau Group Co, რომელსაც მსოფლიო ბანკმა ტენდერებში მონაწილეობა დროებით აუკრძალა, საქართველოში სხვადასხვა პროექტთან ერთად, ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის 13 კმ-იან მონაკვეთს ააშენებს. გამარჯვებული კომპანია სწორედ ტენდერის შედეგად გამოვლინდა, თუმცა, როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე აცხადებს, ეს იქამდე მოხდა, ვიდრე მას ტენდერებში მონაწილეობა აეკრძალებოდა.

**სალომე ლემონჯავა**

# კუს ტბის საბაგიროს ამუშავება გადაიდო

**საბაგირო ივლისში გაჩერდა და მისი აღდგენა ოთხი თვის ვადაში იგეგმებოდა.**

ბაგირის გამოცვლის მიზნით გამოცხადებული პირველი ტენდერი ჩაიშალა, მეორე ტენდერის ფარგლებში კი ამ დროისთვის გამარჯვებული კომპანიის შერჩევა მიმდინარეობს.

შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემებით, ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი (143 800 ლარი) შპს „ჯრკომ“-მა დააფიქსირა, თუმცა სატენდერო კომისიამ მისი დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილება მიიღო.

ტენდერში ასევე შპს „ბაგირმშენი“ მონაწილეობს (149 988 ლარი). სავარაუდოდ, გამარჯვებულად სწორედ ეს კომპანია გამოცხადდება და სამუშაოს 120 დღის ვადაში ჩაატარებს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ „ბაგირმშენმა“ აღადგინა კუს ტბის საბაგირო 2016 წელს. მიმდინარე წლის ივლისში კი, ტექნიკური შემოწმების შედეგად, ბაგირის გამოცვლა გადაწყდა.

როგორც საქართველოს პირველ არხს თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში განუცხადეს, ამ დროისთვის სამხარაულის ბიუროში ძველი ბაგირის ექსპერტიზა გრძელდება და მისი შედეგი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

**ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსებმა — ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ, სტალინის მიერ დაკვეთილ „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში“ საქართველოს რუსეთთან შეერთება შეაფასეს როგორც „ნაკლები ბოროტება“.**

**თუ სრულ ბოროტებაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად, ქართველი ერის ფიზიკური მოსპობაც იგულისხმებოდა, რისი საფრთხეც მე-18 საუკუნის ბოლოს ნამდვილად არსებობდა, მაშინ ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენა, თუნდაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის ხარჯზე, რატომ შეიძლებოდა შეფასებულიყო როგორც ნაკლები ბოროტება და არა როგორც სიკეთე?! მთავარი ერის ფიზიკური გადარჩენაა, დამოუკიდებლობის არსიც ის არის, რომ ერი გადარჩეს. დამოუკიდებლობა წავა და მოვა, ერი კი, თუ წავიდა, აღარ მოვა. მით უმეტეს, რომ 1801 წელს, როცა რუსეთი შემოვიდა საქართველოში, აღარც საქართველო არსებობდა და არც მისი დამოუკიდებლობა?!**

# „ნაკლები ბოროტება“ თუ სიკეთე?

## ერთი ავკარგიანი საკითხის გამო

„საქართველო“ ერთიანს ნიშნავს. იგი გაჩნდა 1010 წელს, როცა „აფხაზთა და ქართველთა მეფე“ ბაგრატ მესამემ (961-1014) გაერთიანა აფხაზური და ქართული სამეფო-სამთავროები, რამაც დიდებით იარსება ორი საუკუნე და „ოქროს ხანა“ შექმნა, მაგრამ მონღოლების შემოსევების შემდეგ კვლავ სამეფო-სამთავროებად დაიშალა და 1555 წელს სპარსეთისა და ოსმალეთის პროვინციებად იქცა.

საქართველომ ფორმალურად 1490 წლამდე იარსება, მაგრამ, თუ რას წარმოადგენდა იგი თათარ-მონღოლების ბატონობის პირობებში, ამაზე მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი: „ესოდენ გამძვინდა შიმშილი, მძორსა არაწმინდასა ურიდად ჭამდეს, სავსე იყვნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი, მინდორნი და ქალაქნი და სოფელნი მკუდარებითა, ყრმანი მკუდართა დედათა ძუძუთა ლეშთა სწოვდიან“.

არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში იყო სპარსეთის უღლის ქვეშ მგმინავი ქართლ-კახეთი და ოსმალეთის სათარეშოდ გამხდარი გურია-სამეგრელო და იმერეთ-აფხაზეთი. ამერ-იმერის მოსახლეობა, თამარის დროს 8 მილიონზე მეტი, 700 ათასამდე შემცირდა. ქართველი ერი გადაშენების საფრთხის წინაშე იდგა. აი, ასეთ ვითარებაში შემოვიდა რუსეთი, ქართველი მეფეების სამსაუკუნოვანი თხოვნა-მუდარის შემდეგ ქართლ-კახეთში, იმერეთში, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთ-სვანეთში და ორ საუკუნეში მოსახლეობა 700 ათასიდან ხუთნახევარ მილიონამდე გაიზარდა. ქართველი ერი ფიზიკურად გადარჩა.

მაშ, რაღა ბოროტებაზე (ნაკლები ბოროტებაც ბოროტებაა) შეიძლება იყოს საუბარი, თუ ერი გადარჩა?! ნაკლები ბოროტება იყო, მაგალითად, სპარსელთა ბატონობა, ოსმალების ბატონობასთან შედარებით. ამიტომ დადგა თეიმურაზ მეორე, ერთ მომენტში, სპარსელების გვერდით, ოსმალების წინააღმდეგ. საქართველოს რუსეთთან შეერთება კი, რამაც ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენა განაპირობა და რომლის ალტერნატივა მის ფიზიკურ გაქრობას მოასწავებდა, იყო ერთმნიშვნელოვნად სიკეთე და არავითარი ბოროტება.

საქართველოს რუსეთთან შეერთება ბოროტება იყო თუ სიკეთე, ამ კითხვას დიდმა ილია ჭავჭავაძემ გასცა საბოლოო პასუხი წერილში „ასი წლის შემდეგ“ და ყველა, ვინც რევიზიას უკეთებს ერის მამის ამ შეფასებას, ისტორიის რევიზიონისტი და ფალსიფიკატორია და არა ისტორიკოსი.

ზემოხსენებული ისტორიკოსების მდგომარეობა გასაგებია: უსტალინოდ იმ დროს არათუ სხვა შეფასება ვერ გაკეთდებოდა, არამედ საერთოდ არ დაიწერებოდა „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო“. მაგრამ საკითხავია, რისთვის დასჭირდა სტალინს, რომ ეს მოვლენა „ნაკლებ ბოროტებად“ შეფასებულიყო და არა სიკეთედ ?

**სტალინზე უკეთ ვინ იცოდა, რომ რუსეთთან შეერთება სიკეთე იყო საქართველოსთვის, მაგრამ მისი სიკეთედ გამოცხადება ეწინააღმდეგებოდა მის რევოლუციონერობას: თუ რუსეთი სიკეთე იყო, მაშინ რისთვის ანგრევდა მას?! ამიტომ არც მწვადი დაწვა, არც შამფური და სიკეთეს „ნაკლები ბოროტება“ დაარქვა.**

ყველა ბუზი ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო. და საქართველოს ისტორიისა და ყველა სფეროს ყველაზე დიდი ფუტკარი მარად და ყველგან საქართველოსთან მყოფი ილია ჭავჭავაძეა.

სტალინს ჰკითხეს აზრი ილიაზე (ეს ის პერიოდია, როდესაც ერის მამა ფაქტობრივად დაგმობილია საქართველოში). მან უპასუხა: „მე საბჭოთა კავშირს ვმართავ, ილიას შეეძლო მსოფლიო ემართაო“. მოხდა ისე, რომ ილია ჭავჭავაძე მარად და ყველგან საქართველოში დარჩა, სტალინი — მარად და ყველგან მსოფლიოში. საქართველოს ისტორიის საკითხებში ილიასთან ვერავინ მოვა. ამიტომ რუსეთ-საქართველოს ისტორიით სერიოზულად დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მის სწორუპოვარ წერილს „ასი წლის წინათ“.

მაგრამ ნათქვამია, ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს — ფოფოდიაო, ანუ რამდენი ადამიანიც არის, იმდენი აზრია. თუმცა, როგორც ლათინური ფორმულა ღაღადებს, „ჭეშმარიტება ერთია, ცდომილება — მრავალი“: Veritas una, error multiplex. ილია ჭავჭავაძის აზრისაგან განსხვავებული აზრი კი, საეჭვოა, ახლოს იყოს ჭეშმარიტებასთან.

ქალბატონ ნინო კვაჭანტირაძეს კი ერის მამის აზრისაგან „განსხვავებული აზრები“ მოსწონებია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2019 წლის 28 აგვისტოს ნომერში მოგვიწოდებს, ვაჟა-ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, აკაკი ბაქრაძე და თამაზ ჭილაძე წავიკითხოთ.

კი, ბატონო, წავიკითხოთ, მაგრამ ილია ჭავჭავაძემ რა დააშავა?

1801 წელს რუსეთმა სპარსეთისა და ოსმალეთის ბატონობისგან გაანთავისუფლა მათ ვილაიეთებად ქცეული ქართული ტერიტორიები, დაარქვა მათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები და მიუერთა ოსმალეთისაგან ომით წართმეული ახალციხე, ახალქალაქი, ბათუმი, ფოთი და ცხუმ-აფხაზეთი.

რუსეთს შეეძლო ოსმალეთისგან რუსი ჯარისკაცის სისხლის ფასად, წართმეული ეს მიწები, კალინინგრადის მსგავსად, რუსულ ანკლავებად გამოეცხადებინა, მაგრამ მან თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს მიუერთა ისინი, რითაც ფაქტობრივად გაერთიანა საქართველო და მისი აღდგენის წინაპირობა შექმნა. მართალია, მას ჯერ კიდევ საქართველო არ ერქვა, მაგრამ უკვე საქართველოდ განიცდებოდა და სახელის დარქმევაღა აკლდა. და სტალინმაც „საქართველოს სსრ“ დაარქვა.

თუმცა სტალინამდე „საქართველო“ ჯერ ჟორდანიამ დაარქვა, მაგრამ მისი არსებობა დროებითი და უპერსპექტივო იყო, რადგან თეთრები და წითლები ვიდრე ერთმანეთთან ურთიერთობას გაარკვევდნენ და რომელსაც უნდა გაემარჯვა, იგი აუცილებლად აღადგენდა რუსეთის იმპერიის საზღვრებს და საქართველოსაც, აზერბაიჯანისა და სომხეთის მსგავსად, რუსეთის იმპერიის წიაღში დააბრუნებდა. სტალინმა კი ისე მოახერხა, რომ თვით იმპერიას მოუძებნა ახალი ფორმა — „ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური საბჭოთა კავშირი“, რომ პატარა საქართველო მასში მოკავშირე რესპუბლიკის სახელით შეეყვანა, რაც 1936 წელსღა მოახერხა. და იგი მთელ კავშირში ყველაზე აყვავებული და წარმტაცი რესპუბლიკა გახლდათ. სოსო გრიშაშვილის სიტყვები რომ გადავაკეთოთ, სსრკ ბეჭედი იყო ბაჯაღლო და საქართველოს სსრ — შიგ ჩასმული ბადახში.

ამრიგად, თეთრებთან სამოქალაქო ომში გამარჯვებულმა ბოლშევიკებმა აღადგინეს რუსეთის იმპერიის საზღვრები, და არა დაიპყრეს საქართველო, აზერბაიჯან-სომხეთთან ერთად. აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელისუფლებებმა ჭკუა იხმარეს: არ შეებრძოლნენ ბოლშევიკებს და ერთმა ჰერეთს, მეორემ ლორე-ტაშირს გამოჰკრეს ხელი; საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ კი ბრძოლა დაუწყო რუსეთის საზღვრების აღსადგენად შემოსულ ბოლშევიკებს, რის გამოც დაისაჯა საქართველო და მისი კუთვნილი ტერიტორიები აზერბაიჯანსა და სომხეთს დარჩა. ვიღაცები კი მენშევიკების უთავგზობას სტალინსა და ორჯონიკიძეს აბრალებენ. 1921 წელს სტალინსა და ორჯონიკიძეს ყველაფერი როდი ეკითხებოდათ ჯერ კიდევ უნიტარულ საბჭოთა რუსეთში.

ასეთივე წინდაუხედაობა გამოიჩინეს ე.წ. „ეროვნული მოძრაობის“ ლიდერებმა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც რუსოფობიური რიტორიკით („კრემლის აგენტები“, რუსული ენისა და ყოველივე რუსულის უგულებელყოფა და ა.შ.) ბზარი გააჩინეს რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, რითაც ისარგებლეს აფხაზებმა და ოსებმა, სათავისოდ რომ განაწყვეს რუსეთის ხელისუფალნი. აფხაზები და ოსები ადრეც ხტუნაობდნენ, მაგრამ რუსები არაიშვიათად ქართველების მხარეს იჭერდნენ. მაგალითად, როდესაც ლეონიდ ბრეჟნევს მოახსენეს, აფხაზებს საქართველოსგან გამოყოფა და კრასნოდართან შეერთება უნდათო, მან მუქარანარევი დაცინვით უპასუხა: „კრასნოიარსკთან არ უნდათო“?!

ე.წ. „ეროვნული მოძრაობის“ ლიდერთა რუსოფობიური განწყობილება სათავეს იღებდა წინა თაობის მწერლების ნააზრევში.

**ჰიტლერის აპოლოგეტი და სტალინის მგმობელი გრიგოლ რობაქიძის აზრით, მაგალითად, „იმდენი ზარალი, ზნეობრივ-გონებრივი ზარალი, არავის არ მოუყენებია, როგორიც მოგვაყენა რუსეთმა... რუსები კი, მოვიდნენ თუ არა საქართველოში, მაშინვე სწვდნენ ყელში ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება, მისი თავისებურობის მოსპობა. მათ თანდათანობით მოსპეს ჩვენი ეროვნული სკოლა, სამართალი, შემოიტანეს თავისი კანონები, სატუსაღოები, სკოლები, ყაზარმები და მონღოლურ-სლავური ვერაგობით იქამდე გაგვიხადეს საქმე, რომ დღესაც კი, რუსეთის დანგრევის შემდეგაც კი, არამცთუ ძველი თაობა, არამედ ახალი თაობაც კი ჯერაც გონს ვერ მოსულა და ისევ რუსულად აზროვნებს, მღერის, ჟღმურტულებს. მარტო ბრმა და ყრუ ან ჯიუტი და მოღალატე ქართველი — მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპისა, თუ ვერ დაინახავს იმ უფსკრულს, რომელსაც უმზადებს ქართველ ერს დღევანდელი რუსეთი“.**

ჟღმურტულებს თუ ჟღურტულებს? ეტყობა, ჟღმურტულებს, თორემ ჟღურტული ჩიტების ჭიკჭიკისა და ბავშვების თამაშის საამო ასოციაციას აღძრავს. აი, „სკოლების შემოტანა“ კი ბავშვური თამაში აღარ გახლავთ. იგი ყველა უბედურების სათავეა: სკოლა განათლებას იწვევს („გაიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“ — ალექსანდრე ჭავჭავაძე), განათლება კი — „დიდპატარობის“ ტრადიციის მოშლას, თანასწორობის იდეით გონების ამღვრევას, სამართალზე წარმოდგენის გაჩენას, ბატონის „კანონის“ (როცა ბატონს შეეძლო ყმა პატიოსნად გაეროზგა, თუ მოუნდებოდა, მოეკლა და პასუხი არ ეგო, ხოლო მისი გოგობიჭები კი სტამბოლში მონებად გაეყიდა და ა.შ.) ნაცვლად, რუსული „ზაკონის“ კანონის იძულებას, ბატონის უფლებას ყმის უფლებისაგან რომ ვერ არჩევს; ბატონყმობის გაუქმებას და ქართველი მებატონეების უყმებოდ დატოვებას, „კაი ყმის“ ინსტიტუტის მოშლას („ბიჭო არსენავ, რა მიყავ, ყმა იყავ მაგისთანაო“) და „აწყობილი“ ქვეყნის რევოლუციებით არევას.

სკოლის უკეთურებას ჯერ კიდევ ლუარსაბ თათქარიძე მიხვდა: **„რაც ეგ რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა — ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!.. კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი“ (ილია ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?!“).**

ილია ჭავჭავაძისაგან „განსხვავებული აზრი“ ჰქონია რუსეთზე „მეორე ილიად“ წოდებულ **აკაკი ბაქრაძესაც: „პოლიტიკაში არ არსებობს კეთილი და ბოროტი რუსეთი. რუსეთი ერთია და იგი, პოლიტიკური თვალსაზრისით, არასოდეს იქნება საქართველოს მეგობარი. იგი იყო, არის და დარჩება საქართველოს მტერი. ბავშვურ ილუზიებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ. პოლიტიკურ მოვლენებს რეალურად და ფხიზელი თვალით შევხედოთ. სულერთია, ვინ მართავს რუსეთს — რუსი ივანე მრისხანე თუ თათარი ბორის გოდუნოვი, გერმანელი ეკატერინე მეორე თუ ქართველი სტალინი, ისინი რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს ემსახურებიან“** (გრიგოლ რობაქიძისა და აკაკი ბაქრაძის ზემოთ მოტანილი გამონათქვამები თავაზიანად შემოგვთავაზა ჟურნალისტმა ნინო კვაჭანტირაძემ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2019 წლის 28 აგვისტოს ნომერში და მოგვიწოდა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ. თუმცა ვეჭვობ, საჭირო იყოს ეს, რადგან რუსეთის ლანძღვა-გინებას დღეს ყველანი ისედაც კარგად ვახერხებთ; ილია ჭავჭავაძე რომ ეთქვა, — კიდევ ჰო!).

იხ. 8 გვ.

## ელიზაბეთ რუდი: მოვუწოდებთ რუსეთს, დაემორჩილოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას

**აშშ შეშფოთებულია იმ ვითარებით, რაც არის სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე, განსაკუთრებით სოფელ ჩორჩანაში, მოვუწოდებთ რუს და ოს მხარეს, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა მოხდეს სიტუაციის დეესკალაცია, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეთ რუდმა განაცხადა.**

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, სიტუაციის განმუხტვისთვის გამოყენებული იყოს ყველა მექანიზმი, როგორიცაა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და ცხელი ხაზი.

**„მოვუწოდებთ რუსეთს, დაემორჩილოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და გაიყვანოს საკუთარი ძალები. ასევე ძალიან გვაშფოთებს ის ფაქტი, რომ გამშვები პუნქტები ჩაკეტილია ადმინისტრაციულ საზღვარზე, რადგანაც ეს იწვევს ძალიან რთულ ჰუმანიტარულ სიტუაციას იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ ადმინისტრაციული ხაზის მიღმა. სწორედ ამიტომ, ჩვენ მოვუწოდებთ დე ფაქტო ხელისუფლებას, გახსნას გამშვები პუნქტი“,** — განაცხადა ელიზაბეთ რუდმა.

# საქართველოზე გადმოფარებული „მზრუნველი“ კალთა

(მეხუთე გვერდიდან)

რაც შეეხება რჩევებს და რეკომენდაციებს. ისევ კრამერი: „ვფიქრობ, პირდაპირი დიალოგი რუსეთთან ოკუპაციის პრობლემას არ გადაჭრის. ეს მძიმე პროტესტი 10 წელზე მეტია, გრძელდება. დეოკუპაციისთვის აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან განხორციელებული ზეწოლა რუსეთის რეჟიმზე“.

**„პატრიოტთა ალიანსის“ მოწოდება საქართველოს მთავრობისადმი — დაიწყოს პირდაპირი დიალოგი მოსკოვთან, ამერიკელი კრამერის აზრით უნაყოფო იქნება: „პირდაპირი დიალოგი ყოველთვის ეფექტური არ არის. სამწუხაროდ, რუსეთის შემთხვევაში ეს არაფრის მომტანი იქნება. საერთაშორისო საზოგადოებამ ურყევად უნდა განაგრძოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. ეს იქნება რუსეთზე ზეწოლის მთავარი ბერკეტი“.**

ამ სიტყვების ავტორს, თუკი ის საქმით არის ექსპერტი, წამითაც არ უნდა სჯეროდეს თავისი ნათქვამის.

2008 წლის აგვისტოდან დაწყებული დღემდე საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევაზე ორიენტირებულმა საქართველოს ყველა ხელისუფლებამ ამ ე.წ. ვირტუალურ საერთაშორისო საზოგადოებას ისე აუტალახა კარი, რომ საქართველოს გაგონებაც არ უნდათ. ანდა რა ზეწოლა უნდა განახორციელოს მან რუსეთზე — ეკონომიკური სანქციები, რომელიც არ ჭრის? იზოლაცია, რომელიც შეუძლებელია?

განა კრამერმა არ იცის ეს?

იცის, მაგრამ თვალთმაქცობს. უპირველესად იმიტომ, ვაითუ პირდაპირი დიალოგის შემთხვევაში რუსეთმა ისე მოხიბლოს საქართველო, რომ მან ორიენტაცია შეიცვალოს?

და თუ ამას ექნა ადგილი — რა ეშველება კრამერს და მისთანა ექსპერტებს, მტვრით დაფარულებს; ვინ გაიხსენებს მათ; ვინ გამოუყოფს ფულს მსგავსი კონფერენციის ჩატარებისთვის, ისე, როგორც რუსეთის წინააღმდეგ „რბილი ძალის“ გამოყენების სხვადასხვა ხრიკებისთვის?

**კრამერს დრო გაჰყავს, რითაც რუსულ წისქვილზე უშვებს წყალს. პირდაპირი მოლაპარაკება რაღაც შედეგს მოიტანს. საერთაშორისო საზოგადოების ვითომ ზეწოლა დროის გაფლანგვაა, რაც კრამერს და მისთანებს აძლევს შესაძლებლობას, ფული აკეთონ საქართველოს უბედურებაზე.**

**ახლა რაც შეეხება ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის რასმუსენის რჩევას: „თუ ქართველები გადაწყვეტენ, რომ მეხუთე მუხლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ გავრცელდება, ჩვენ შეგვიძლია ამის მიღება; რომ აღნიშნული მუხლი მხოლოდ საქართველოს მთავრობის კონტროლირებულ ტერიტორიაზე გავრცელდეს“.**

**რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ ომის შემთხვევაში ნატო დაიცავს მხოლოდ საქართველოს იმ ტერიტორიას (აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის გამოკლებით), სადაც მისი იურისდიქცია ვრცელდება. თუ ნატო საქართველოს იმ ტერიტორიას დაიცავს, რომელზედაც მისი იურისდიქცია ვრცელდება, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ფარგლებს გარეთ რჩება?!**

ამ რჩევის შემდეგ რასმუსენმა მოიყვანა სრულიად შეუფერებელი გერმანიის მაგალითი: „გერმანია ნატოში 1955 წელს გაწევრიანდა, თუმცა მხოლოდ მისი დასავლეთი ნაწილი. ნატოს წესდება არ ვრცელდებოდა აღმოსავლეთ გერმანიაზე“.

რასმუსენს დაავიწყდა, რომ ნატოს წესდება ვერაფრით გავრცელდებოდა გდრ-ზე — დამოუკიდებელ, სოციალისტური ბანაკის აქტიურ წევრ სახელმწიფოზე, მსოფლიოს ქვეყნების მიერ აღიარებულზე. „თუმცა, როდესაც გერმანია გაერთიანდა 1991 წელს — ნატოს წესდებამ დაფარა აღმოსავლეთი გერმანიაც“, — თქვა მან.

1991 წელს აღმოსავლეთ გერმანიამ ანუ გდრ-მ შეწყვიტა სახელმწიფოებრიობა, შეუერთდა დასავლეთ გერმანიას და ის, რომ ნატოს წესდებამ გერმანიის აღმოსავლეთი დაფარა, გასაკვირი არაფერია.

**აქვე ვიტყვი, რომ არა სსრკ-ს მაშინდელი გამყიდველი ხელმძღვანელები — გორბაჩოვის მეთაურობით, გერმანიის გაერთიანებას ადგილი არ ექნებოდა. ამ გაერთიანებას მოწინააღმდეგებიც ჰყავდა საფრანგეთის, ევროპის სხვა ქვეყნების სახით.**

**გერმანიის საკითხი, კარდინალურად განსხვავებული პოლიტიკისა და პოლიტიკოსების გაწეული შრომის შედეგი იყო და მისი საქართველოსთან შედარება რასმუსენის კოჭლი აზროვნების მაგალითია და მეტი არაფერი.**

**მოდით, გავხსნათ ფრჩხილები და გულახდილად ვილაპარაკოთ — მიიღებენ თუ არა საქართველოს ნატოში? პასუხი — ნატოს უმთავრესი შეფისა (და არა ამჯერად მოექსპერტო რასმუსენის), აშშ-ს პრეზიდენტის ობამასი იყო მოკლე და კონკრეტული — საქართველო და უკრაინა ნატოში ვერ შევლენ.**

მაშ, რას გვიცხადებს რასმუსენი?

იმას, რასაც დასავლელი ექსპერტები გასულ წელს — ნატოში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გარეშე. მათ კარგად იციან, რომ საქართველოს ვერც ერთი ხელისუფლება ვერ წავა ამ რისკზე. მაგრამ რა უყონ დაპირებას?

გარდა ამისა, პირდაპირ რომ გვითხრან ისე, როგორც ობამამ, ხომ აგვიცრუვდება გული ნატოზე, ხომ არ გამოიწვევს ეს ჩვენს რუსეთისკენ შებრუნებას?

**ბრიუსელი ჩვენზე მეტად არის შეწუხებული და არ იცის, როგორ გამოვიდეს ჩიხიდან, რომელშიც თვით შევიდა ტყუილი დაპირებით. ამისთვის მან რაღაც ისეთი უნდა მოიფიქროს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში მასზე იყოს ლაპარაკი. ასეთად რასმუსენმა შარშანდელი ვარიანტის გადამღერებული ვერსია შემოგვთავაზა, რომელზეც უკვე დავიწყეთ თავის მტვრევა, რაც კარგა ხანს გაგრძელდება. შემდეგ სხვა დასავლელი გვეტყვის სხვა ვარიანტს და იმაზე დავიწყებთ ლაპარაკს — ამასობაში დრო გავა. მერე ან ვირი მოკვდება ან ვირის პატრონი.**

◎ განსასჯელად, საკამათოდ!

# „ნაკლები ბოროტება“ თუ სიკეთე?

(მეშვიდე გვერდიდან)

აი, რამ აუბნია თავგზა თავის დროზე „ეროვნულ-დამანგრეველი მოძრაობის“ ლიდერებსაც, რომლებმაც თავიანთი რუსოფობიით (აფხაზოფობიითა და ოსოფობიითაც, მაგრამ ესენი რუსოფობიური საფანელით რომ არ შეეკაზმათ, აფხაზები და ოსები ვერას გახდებოდნენ) რუსეთი ვერა, მაგრამ საქართველო კი დაანგრიეს.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, ჩუგოშვილივით რომ შეიცხადა მართლმადიდებლობის ასამბლეის თავმჯდომარე გავრილოვის პარლამენტის სკამზე დაჯდომა, განაცხადა, **„რუსეთი არის საქართველოს მტერი და ოკუპანტიო“**, რამაც ბიძგი მისცა შიზოფრენიული რუსოფობიის გამოვლენას პარლამენტის წინ 20 ივნისის ღამეს, გაბუნია-გვარამის სატელევიზიო უხამსობას, რამაც მოსკოვსა და თბილისს შორის ავიარეისების შეწყვეტა და გუგუტიანთკარის ბორდერიზაცია გამოიწვია. ამის შემდეგ, მცირე ქვეყნის პრეზიდენტი, თავისი პრობლემების გადასაწყვეტად, დიალოგის განახლების პირობებს უყენებს ბირთვული ზესახელმწიფოს პრეზიდენტს: „როდესაც ჩვენ დავინახავთ მკაფიო სიგნალებს ამ მიმართულებით, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მზად ვიქნებით დიალოგისთვის მომავალში“.

ქალბატონ სალომეს თავი მოაქვს ხოლმე, რუსებს მე გავაყვანინე საქართველოდან ბაზებიო. მაგრამ იმაზე აღარაფერს ამბობს, ჰყავდა თუ არა მათი შესაცვლელი სამხედრო კონტინგენტი. პოლიტიკური აქსიომაა: თუ შენი ჯარი არ გყავს, ქვეყანა რომ დაიცვა, სხვისი ჯარი უნდა დაიქირავო. რუსული ბაზები ფაქტობრივად უფასოდ დაქირავებული ჯარი იყო, რომელიც თავისი ხარჯით საქართველოს საზღვრებს იცავდა. ის ბაზები რომ დარჩენილიყო, არც 2008 წლის ომი მოხდებოდა, არც სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება და არც ბორდერიზაცია.

ყველა-ყველა, მაგრამ ფრანგულ სოლადამთავრებულმა ადამიანმა იმდენი ფრანგული ხომ მაინც უნდა იცოდეს, რომ სიტყვა „სეპარატიზმს“ „ოკუპაციაში“ არ ურევდეს?! აფხაზებისა და ოსების მხრიდან ჩვენ საქმე გვაქვს სეპარატიზმთან და არა ოკუპაციასთან. რუსეთი უბრალოდ მხარს უჭერს იმათ სეპარატიზმს, რაც ცუდია, მაგრამ ჩვენ ის უნდა ვიკითხოთ, რატომ უჭერს იგი მხარს მათ და არა ჩვენ? იმიტომ, რომ აფხაზები და ოსები პატივს სცემენ რუსეთს, მის ენას, უსაფრთხოებას; ჩვენ კი, პირიქით, ვლანძღავთ რუსეთს, უგულებელვყოფთ რუსულ ენას, საფრთხეს ვუქმნით რუსეთის უსაფრთხოებას, მის მიერ გაყვანილი სამხედრო ბაზების ტერიტორიაზე ნატოს ბაზებისა და რაკეტების დაყენებით. იმიტომ გაიყვანა ბაზები, რომ ნატოს ბაზები დაგვეყენებინა?! დამოუკიდებლები ვართ და რაც გვინდა, იმას ვიზამთო. ისიც რაც უნდა, იმას შვრება. ვინძლო, ჩვენმა თხამ მგელი დაიჭიროს! რუსეთის ფაქტორი რომც მოიხსნას, სეპარატიზმი არ მოიხსნება, თუ არ გამოვნახეთ საერთო ენა აფხაზებთან და ოსებთან. თუ ვერ გამოვნახეთ, ისინი თავიანთთვის, ჩვენ — ჩვენთვის. ოღონდ პატივი სცენ ისტორიულად ვისი მიწაც იყო იმას. ეს ისტორიული კვლევის საგანია, დღეს კი ახალი რეალობაა და პოლიტიკაც რეალობისათვის ანგარიშის გაწევაა.

**ომარ ხახაშვილი,**
**5 სექტემბერი 2019 წ.**
**ბელგიიდან.**
**სპეციალურად გაგეთ „საქართველოს რესპუბლიკისათვის“**

## P.S.

**საქართველოს** რუსეთთან შეერთება სიკეთე და გადარჩენა იყო არა მარტო საქართველოსათვის, არამედ აგრეთვე რუსეთისათვის: სტალინს რომ 1941-ში მოსკოვი დაეტოვებინა, ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, რუსი ერი — განადგურებული, ურალს იქით გადაყრილი, გერმანელების მონებად ქცეული და რუსეთი როგორც სახელმწიფო — გაუქმებული. სტალინმა კრემლში დარჩენით და 7 ნოემბრის სამხედრო პარადით ომის ბედი შემოატრიალა და ფიზიკურ მოსპობას გადაარჩინა რუსი ხალხი და რუსეთი. ამიტომ აიგივებდნენ რუსი ადამიანები მას რუსეთთან და იხოცებოდნენ ბრძოლის ველზე შეძახილით: За Родину, за Сталина („სამშობლოსათვის, სტალინისათვის“). ომი გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ აშშ-ის ატომური უპირატესობის სახით ახალი საფრთხე აღიმართა რუსი და საბჭოთა ხალხების წინაშე: იაპონის ქალაქების სანიმუშო ატომური დაბომბვის შემდეგ, შედგა გეგმა საბჭოთა კავშირის ქალაქების (მათ შორის, თბილისის) ატომური დაბომბვისა. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება ატომური წონასწორობის აღსადგენად, რაც მოხერხდა, უმოკლეს ვადაში, მეორე დიდი ქართველის, ბერიას განსაცვიფრებელი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით. ამდენად, რუსებსაც მართებთ მადლიერება ქართველების მიმართ. მაგრამ რუსები დიდი ერია და მათ უმადურობა არ დაღუპავთ, ქართველებს კი დაგვღუპავს და გვღუპავს. ამიტომ მეტადრე ჩვენ გვმართებს პატივი ვცეთ ისტორიას და შევარჩიოთ სიტყვები დიდი რუსეთის ხელისუფალთა მიმართ, რაგინდ უსამართლოდაც არ უნდა გვექცეოდეს.

**ო. ხ.**

# „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ განცხადება

**კონსორციუმი აგრძელებს ინტენსიურ რეჟიმში მუშაობას პროექტთან დაკავშირებულ ყველა მხარესთან, მათ შორის სამინისტროსთან, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად, — ამის შესახებ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.**

საქართველოს პირველი არხი „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

**„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ თავს შეიკავებს მხარეთა შორის ჩვეულებრივი ორმხრივი კომუნიკაციის ფარგლებში სამინისტროსთან გამართული, კონფიდენციალური განხილვების თაობაზე კომენტირებისგან; ასევე განხილვებთან დაკავშირებით სხვა პირების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე კომენტირებისგან. კონსორციუმი აგრძელებს ინტენსიურ რეჟიმში მუშაობას პროექტთან დაკავშირებულ ყველა მხარესთან, მათ შორის სამინისტროსთან, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით, კონსორციუმმა ცოტა ხნის წინ წარუდგინა სამინისტროს ორი მსხვილი საერთაშორისო ინვესტორი, რომელთაც, უკვე გაცხადებულ ინვესტორებთან — ამერიკულ SSA Marine-თან და ქართულ „თიბისიეიჩ ანაკლიასთან“ ერთად, პოტენციურად შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა კონსორციუმის გაძლიერებაში.**

**კონსორციუმი ფიქრობს, რომ ამ მიმართულებით დაწყებული კომუნიკაციის ლოგიკური გაგრძელება იქნება, თუ სამინისტრო ოფიციალური წერილებით დაუდასტურებს ზემოხსენებულ პოტენციურ ინვესტორებს, რომ მათ მიესალმებიან პროექტში და ექნებათ სახელმწიფოს სრული მხარდაჭერა.**

**უკვე დროა, ყველა დაინტერესებულმა და ჩართულმა მხარემ გააერთიანოს ძალები, რათა ეს სტრატეგიული პროექტი წარმატებით განხორციელდეს. კონსორციუმი მიესალმება სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ ყველა პოზიტიურ ნაბიჯს, რამაც შეიძლება ბიძგი მისცეს პროექტის შემდგომ სწრაფ განვითარებას — საქართველოს ზოგადი საერთო წარმატებისთვის“,** — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

# მგზავრობა უკვე ყველა მიმართულებით ძვირდება

**ძვეყანაში მგზავრობა სულ უფრო ძვირდება. შიდა საქალაქო ტრანსპორტი ჯერ მასობრივად არ გაძვირებულა, სამაგიეროდ, საქალაქთაშორისო მარშრუტებზე მოძრავმა მიკროავტობუსებმა მომსახურების ფასი ერთმანეთის მიყოლებით გაზარდეს.**

ორიოდე დღის წინათ მარნეულის მუნიციპალიტეტიდან დედაქალაქამდე ჩასასვლელად მგზავრებს გაძვირებული ტარიფის გადახდა მოუწიათ. მგზავრობამ 50 თეთრით მოიმატა და ორი ლარი და 50 თეთრი შეადგინა. მძღოლები ფასების მატებას გაძვირებულ საწვავს უკავშირებენ.

მათი თქმით, დიდი ხანია, უნდოდათ გადასახადის გაზრდა, თუმცა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, თავს იკავებდნენ.

უფრო ადრე მოიმატა ფასმა ზუგდიდი-თბილისი-ზუგდიდის მიმართულებით მიკროავტობუსით მგზავრობაზე და ის ერთბაშად 5 ლარით გაძვირდა. სადგურიდან მიმავალი ტრანსპორტის მგზავრებს 15-ის ნაცვლად 20 ლარის გადახდა უწევთ. როგორც მძღოლები ამბობენ, საწვავზე ფასის გაზრდის გამო იძულებული გახდნენ, მომსახურების ღირებულება თავადაც გაეზარდათ.

პირველად კი გაძვირების „სეზონი“ რუსთავი-თბილისის მიმართულებით მოძრავმა მიკროავტობუსებმა გახსნეს. ჯერი კიდევ აგვისტოში ორ ქალაქს შორის მიმოსვლის ტარიფი 30 თეთრით გაიზარდა და 1,80 ლარი გახდა.

ახალი ტარიფის გადახდა მგზავრებს უკვე მეტროსადგურ „დიდუბის“, რკინიგზის სადგურის, მეტროსადგურ „ვარკეთილისა“ და სპორტის სასახლის მიმართულებით მგზავრობისას უწევთ.

მძღოლებთან ერთად სპეციალისტებიც ადასტურებენ, რომ მგზავრობის და ზოგადად, მომსახურების გაძვირების მიზეზი ლარის გაუფასურება და საწვავის ისტორიულად მაღალი ფასია. აფბა-ს ვიცე-პრეზიდენტი **პაატა ბაირახტარი** იმ მიზეზებზე საუბრობს, რასაც საწვავის ფასის გაზრდაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. მოცემულ სიტუაციაში წარმოუდგენელია ამ მასშტაბის გაუფასურებამ არ იქონიოს გავლენა ფასების საერთო დონეზე.

„ჩვენ ორი მთავარი ფაქტორი გვაქვს, რასაც საწვავის ფასზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. პირველი - ეს არის გლობალურ ბაზრებზე მიმდინარე პროცესები და მეორე - ვალუტის კურსი. თუ რომელიმე პარამეტრი მნიშვნელოვნად შეიცვლება, ორი აზრი არ არის საწვავის ფასიც უნდა დაკორექტირდეს.

გაძვირება ეს არის მომენტი, როდესაც არც ერთი კომპანია ამაზე უარს ვერ იტყვის, რადგან თუ კურსი მნიშვნელოვნად „გაიქცა“, მაშინ შეუძლებელია ძველი ფასით სერვისის მიწოდება. წლის დასაწყისიდან 27 პუნქტით, ლარის გაუფასურება დანამდვილებით ნიშნავს, რომ იმპორტირებული პროდუქცია აუცილებლად გაძვირდება — იქნება ეს საწვავი, თუ საკვები.“ — აღნიშნა ბაირახტარმა.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ზამთრის მოახლოებასთან ერთად სხვადასხვა მიმართულებით სამგზავრო ტარიფი კიდევ მოიმატებს.

**ბექა დანელია**

◎ ბიზნესგარემო

# „ბიუროკრატია ამ ხელისუფლების მუდმივ დაავადებად იქცა“

**უმსხვილესი გადამზიდავი კომპანია „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი ბიზნესის თავისუფლების ნაწილში ფინანსთა მინისტრს ეთანხმება, რომელმაც განაცხადა, რომ ბოლო 25 წელია ბიზნესი ისეთი თავისუფალი, როგორიც დღესაა, არ ყოფილა. იაშვილი „კომერსანტთან“ მისი ბიზნესში შესვლის პირველ წლებს იხსენებს და აცხადებს, რომ დღეს ბიზნესი თავისუფალი ნამდვილად არის.**

**„25 წელია, ბიზნესში ვარ, დაწყებული საქართველოს წითელი პერიოდიდან დღემდე სულ რაღაცას ვსაქმიანობ, 22 ეკონომიკის მინისტრი გამოვიცვალე. 90-იან წლებში ბიზნესი საკომისიო მაღაზიის დაფუძნებით დავიწყე. იქიდან მოყოლებული დიდი პერიოდი გავიარე და ბევრი რამე ვნახე. 90-იან წლებში ბიზნესი ვიღაცას უნდა დაეცვა. ან შენ თვითონ დამდგარიყავი შენს ობიექტზე ავტომატით, ან მხედრიონი ან ვიღაც სხვა, მაშინ ხომ სახელმწიფო არ იყო. ეს გავლილი გვაქვს. ამის შემდეგ მოვიდა შევარდნაძის პერიოდი, როდესაც ავტომატიანი ხალხი ნაკლებად მოდიოდა, მაგრამ გვაკითხავდა პაპკიანი ხალხი. მათ შორის იყვნენ მეხანძრეები, სანიტარული სამსახურიდან, საგადასახადოდან, საბაჟოდან და ვიყავი საშინელ მდგომარეობაში. შემოსევა მქონდა.**

**მოვიდა სააკაშვილი და ადეიშვილის ბიჭები მორბოდნენ კვირაში სამჯერ. ეს პერიოდიც გავლილი მაქვს და მისი რეპრესიების გახსენება არ მინდა. როგორც კოშმარი ისე მახსენდება ის პერიოდი. ეს სურათი 2012 წლის შემდეგ შეიცვალა. თუ ამას გულისხმობს ფინანსთა მინისტრი, ამაში ვეთანხმები. არავინ მორბის არც პაპკებით, არც თოფებით, არ მაყადაღებს, არ მაშინებს. მეშვიდე წელია, ასეა. მოდიან, მაგრამ ძალიან ზრდილობიანად, გეგმიურ შემოწმებაზე. ამ ნაწილში თავისუფლები ვართ, მაგრამ ბიუროკრატიულ ნაწილში რომ გადაწყვეტილებას ვერ იღებენ, ეს ამ ხელისუფლების მუდმივ დაავადებად იქცა. ამ ნაწილში არაფერი შეცვლილა. მიშას დროს თუ კულუარულად მოგელაპარაკებოდნენ, შეგისრულებდნენ მეორე დღესვე. დღეს ასე არ ხდება, ყველაფერი გამჭვირვალეა, მთავრობასთან კულუარული ურთიერთობები აღარ არსებობს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან უჭირთ. გახარიას ამ ნაწილში ძალიან ბევრი სამუშაო აქვს,“** — აცხადებს ირაკლი იაშვილი.

რაც შეეხება იმას, უდრის თუ არა თავისუფლება მიმზიდველობას, იაშვილი აღნიშნავს, რომ არა. ამის დასტურად კი ბიზნესმენს ერთი მაგალითი მოჰყავს. **„სამი წელია, წყალმომარაგების უმსხვილესი ფრანგული კომპანია ცდილობს საქართველოში შემოსვლას და პასუხი ამ ხნის განმავლობაში, გვინდა თუ არა ეს კომპანია, ვერ გადავწყვიტეთ. მე მრცხვენია ამ ხალხის. ამასობაში 3 მთავრობა შეიცვალა, ვერც ერთმა პასუხი ვერ გასცა. ეუბნებიან, რომ სჭირდებათ, უნდათ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციებიც, მაგრამ იმის იქით საქმე არ მიდის. არ მინდა ახლა დეტალებამდე ჩასვლა, მაგრამ ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ ვერ წყდება საკითხები. თავისუფლება არ უდრის მიმზიდველობას. მიმზიდველობის ნაწილში გვიჭირს, რადგან გადაწყვეტილებებს ვერ ვიღებთ. ამას სჯობს, პირდაპირ ვუთხრათ, რომ არ გვჭირდება, ვიდრე ასე ხელზე დახვევა. დასკვნის სახით, ფინანსთა მინისტრს თავისუფლების ნაწილში ვეთანხმები, ხოლო საუბარი თუ მიმზიდველობაზე იქნება — იქ ჩემი აზრი მექნება,“** — განმარტავს იაშვილი.

შეგახსენებთ, ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა რამდენიმე დღის წინ საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის განცხადებაზე არაფორმალური მმართველობის შესახებ, დეტალურად ისაუბრა, გაიხსენა ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილისა და მისი შეხვედრის დეტალები, რომელიც ბიძინა ივანიშვილის სახლში ბიზნესმენ რომან ფიფიასა და მაშინელი მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის თანდასწრებით გაიმართა.

როგორც მაჭავარიანმა განაცხადა, ასეთი თავისუფალი ბიზნესგარემო ბოლო 25 წლის განმავლობაში არ ყოფილა. ივანე მაჭავარიანის თქმით, სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ დღეს ყველაზე თავისუფალი გარემოა ბიზნესისთვის და ამას არ ამბობს იმის გამო, რომ ის მთავრობის წევრია.

**„მე ამ ქვეყანაში ვცხოვრობ, ბოლო 45 წელია. აქედან 22 წელია, ვარ ბიზნესში, ერთი წელია, ვარ საჯარო სამსახურში და ერთ რამეს ვამბობ სრული პასუხისმგებლობით: ასეთი თავისუფალი ბიზნესგარემო ბოლო 25 წლის განმავლობაში, რაც ჩემს მეხსიერებაშია, არ ყოფილა. ამას გეუბნებით სრული პასუხისმგებლობით. თუ რომელიმე კონკრეტულ კომპანიაზე, კონკრეტულ შემთხვევაზე არსებობს ფაქტები, მოიტანონ და დადონ, და თუ არ იქნება რეაგირება, მერე შეიძლება ვილაპარაკოთ... რაც ამ ქვეყანაში კერძო საკუთრება გამოცხადდა, კომერციული მაღაზიები დაიწყო სარდაფებში, იქიდან მოყოლებული დღემდე, ასეთი თავისუფალი არ ყოფილა. ამას გეუბნებით სრული პასუხისმგებლობით, იმიტომ არა, რომ მთავრობის წევრი ვარ: შეიძლება დღეს ვარ, ხვალ არ ვიყო. თუ აქ ცხოვრობდა ამ წლების განმავლობაში ადამიანი და ამ სფეროსთან შეხება ჰქონდა, ამას დაადასტურებს. ეს არის ფაქტი: იქნება გამონაკლისი? ვიღაცას რამე პრობლემა აქვს... გამოიტანონ სააშკარაოზე და ვილაპარაკოთ“,** — აცხადებს ვანო მაჭავარიანი.

**სოფო ქსოვრელი**

◎ სუმო

# ზედიზედ მესამე!

**აკი ბაშოს მე-10 საშეჯიბრო დღეს ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა ლევან გორგაძემ. ტოჩინოშინი კონდიციებში შევიდა, ამჯერად მეხუთე მაეგაშირა ჩიიოტარიუს დამარცხება იორიკირის ილეთით მოახერხა და თანაბარ ბალანსზე გავიდა - 5:5.**

ჩვენებურმა საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვა, რომელსაც თითქმის 1 წუთი უტევდა და საბოლოოდ დოჰიოს მიღმა გადაიყვანა.

გეტყვით იმასაც, რომ წლის მეხუთე სუპერტურნირზე ტოჩი მუხლის ტრავმით გამოდის, თუმცა, ოძეკის პრესტიჟული ტიტულის დასაცავად შანსს კვლავ ინარჩუნებს. საამისოდ ქართველმა სუმოისტმა დარჩენილი 5 ორთაბრძოლიდან მინიმუმ სამი უნდა მოიგოს.

ვთქვათ ისიც, რომ სექტემბრის ბაშოზე ლევანს ერთი მოგება წესების დარღვევის გამო წაგებად ჩაუთვალეს, თორემ ვინ იცის, ახლა 6 მოგების საპირისპიროდ 4 მარცხი ექნებოდა და მეტი ვარიანტი იმისა, რომ მომდევნო ბაშოზე კვლავ ოძეკის რანგში ეასპარეზა.

რაც შეეხება გუშინდელ მეტოქესთან ურთიერთშეხვედრებს, აღნიშნული წყვილი ერთმანეთს მე-10-ედ დაუპირისპირდა და გორგაძის უპირატესობა დიდია - 8 მოგება და მხოლოდ 2 მარცხი. მიმდინარე ბაშოზე ჩიიოტარიუს მოგება-წაგების ბალანსიც სწორედ ასეთია — 2:8-ზე.

ტოჩის მომდევნო მეტოქე აკი ბაშოს ერთერთი ლიდერი ტაკაკეიშო იქნება, რომელსაც აქამდე 8-ჯერ შეხვედრია და მეტოქე 2-ჯერ დაამარცხა, 6-ჯერ კი თავად დამარცხდა.

**კობა კობახიძე**

◎ უნავოდ!

# წივწივაძის ჰეთ-თრიქი!

**სამი დისტანცია — სამი ოქრო! ასეთი ბრწყინვალე შედეგი დააფიქსირა სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში გამართულ პრესტიჟულ ტურნირზე ალექსი წივწივაძემ.**

ქართველმა ნიჩბოსანმა საერთაშორისო ფედერაციის (ICF) ეგიდით მოწყობილი შეჯიბრების სამივე რბოლა პირველ ადგილზე დაასრულა, ასეთი შედეგი კი საქართველოს სახელით მოასპარეზე არცერთ სპორტსმენს არ ჰქონია.

ჩვენებურმა უმაღლესი დონის გაცურვის დისტანცია საგრძნობი უპირატესობით დაასრულა მაშინ, როდესაც აღნიშნულ სპორტის სახეობაში გამარჯვებულის გამოვლენას ხშირად ფოტოფინიში სჭირდება.

1000 მეტრი წივწივაძემ 4 წუთსა და 30 წამში დაფარა, რითაც მეორეადგლოსან უნგრელ ბოშორმენ ბენდეგუზს 8 წამით აჯობა.

500 მეტრზე გაცურვა „ჯვაროსანმა“ წუთსა და 59 წამში დაასრულა და იგივე უნგრელ სპორტსმენს 7 წამით გადაასწრო. 200 მეტრიანი დისტანციის დაფარვას ქართველმა 43 წამი მოანდომა და ბელარუს იაჰორ ჩუიანუს 1 წამით აჯობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ალექსი სამივე დისტანციის შესარჩევიდან ფინალში საუკეთესო დროით გადავიდა.

ამ გამარჯვების შემდეგ ნიჩბოსნობის ფედერაციამ ახალგაზრდა სპორტსმენს ახალი ნიჩაბი გადასცა, თუმცა, პრობლემა უფრო ღრმაა და ალექსის საკუთარი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ნავი არ გააჩნია. შეჯიბრებებზე ჩვენებური ადგილზე ნაქირავები ნავით გადის და მისი წარმატება ორმაგად დასაფასებელია. ზოგჯერ კი ყოფილა შემთხვევა, როდესაც ქართველი მისი წონისთვის შეუსაბამო ნავებით ასპარეზობდა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ჩინურ ტალღაზე

# გაზოლმა გაიმეორა



**ესპანეთის ნაკრების მძიმე ფორვარდი მარკ გაზოლი მეორე კალათბურთელი გახდა, რომელმაც ერთ წელს ნბა და მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. აქამდე მსგავსი შედეგი ამერიკელმა ლამარ ოდომმა 2010 წელს „ლეიკერსთან“ ერთად დააფიქსირა.**

წლევანდელ ტურნირზე ჩინეთში გაზოლი საშუალოდ ერთ შეხვედრაში 14.4 ქულას, 5.5 მოხსნას და 4.1 პასს აგროვებდა.

ფინალში გაზოლის ესპანეთმა არგენტინა 95:75 გაანადგურა და მეორედ მოიპოვა ტიტული.

# სიმბოლური ხუთეული

**მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ Fiba-მ ფორუმის სიმბოლური ხუთეული დაასახელა: ტურნირის MVP რიკი რუბიო (ესპანეთი), ევან ფურნიე (საფრანგეთი), ბოგდან ბოგდანოვიჩი (სერბეთი), მარკ გაზოლი (ესპანეთი) და ლუის სკოლა (არგენტინა).**

რუბიო საშუალოდ ერთ შეხვედრაში 16.4 ქულას, 6 მოხსნასა და 4.8 პასს აგროვებდა, ფურნიე — 19.8 ქულას, 3.8 მოხსნასა და 3 პასს, ბოგდანოვიჩი — 22.9 ქულას, 4.4 პასსა და 4.1 მოხსნას, სკოლა — 17.9 ქულას, 8.1 მოხსნასა და 1.8 პასს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ჩოგბურთი

# ორი მეტოქე ცნობილია

**2020 წლის იანვარში ახალი საჩოგბურთო ტურნირი — ATP Cup დაიწყება, რომელიც ავსტრალიის სამ ქალაქში — ბრიზბენში, პერტსა და სიდნეიში გაიმართება.**

წილისყრის შედეგად საქართველოს მეტოქენი ესპანეთი და იაპონია იქნებიან, ხოლო ჯგუფის მეოთხე წევრი მოგვიანებით გაირკვევა.

„ჯვაროსანთა“ ასპარეზობა ნიკოლოზ ბასილაშვილის დამსახურებაა, რომელიც მსოფლიო რეიტინგში მე-17 ადგილზეა. მასთან ერთად ტურნირზე ალექსანდრე მეტრეველი ითამაშებს. ესპანეთის ნაკრებს რაფაელ ნადალი და რობერტო ბაუტისტა-აგუტი წარადგენენ. იაპონიას — კეი ნიშიკორი და მსოფლიო რეიტინგის 58-ე ნომერი იოშიჰიტა ნიშიოკა.

ჯგუფში ორი ინდივიდუალური მატჩი და ერთიც წყვილებს შორის დაპირისპირება გაიმართება. შემდეგ ეტაპზე პირველადგილოსნები და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გავლენ და ბრძოლა მეოთხედფინალური ეტაპიდან გაგრძელდება. ფინალური ეტაპი სიდნეიში მოეწყობა. ტურნირის საპრიზო ფონდი 22 მილიონი ამერიკული დოლარი იქნება.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ თხოვნა

# „ნეიმარზე აღარ ვილაპარაკოთ“

**„პარი სენ-ჟერმენის“ სპორტულმა დირექტორმა ლეონარდომ ჟურნალისტებს უთხრა, რომ დადგა დრო, ნეიმარის მომავალზე აღარ ილაპარაკონ და გუნდმა მშვიდად განაგრძოს მომზადება.**

**„ვფიქრობ, რომ ნეიმარის მომავალზე საუბარი აღარ ღირს. გუნდს სიმშვიდე სჭირდება. ბევრი რამ შეიცვალა ამ ზაფხულს. ახლადდაწყებული სეზონი არ იქნება იოლი „პსჟ“-სთვის. ფრთხილად უნდა ვიყოთ. ჩემპიონთა ლიგის ფავორიტები არ ვართ, მაგრამ ძალიან კარგი შემადგენლობა გვყავს.“** — ციტირებს ლეონარდოს სიტყვებს RMC.

**გიორგი შოთაძე**

◎ ინტერნეტიდან

# ფრუშო და „ჟიგული“

**იტალიური „ნაპოლის“ ქომაგობით სახელგავარდნილი აპენინელი მოდელი მარიკა ფრუშო, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწში ძვრება, რომ მუდმივად ბულვარული მედიის ყურადღების ცენტრში იყოს და სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს კონკურენტული საქმე ერთობ კარგად გამოსდის.**

ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მარიკამ თავისი ბარაქიანი მკერდი დაიზღვია, აქაოდა, ამითა ვჭამ პურსა და ამას რამე რომ მოუვიდეს, რაღა მეშვეღებაო, ახლა კი ცნობილ მსახიობსა და მომღერალს ჯენიფერ ლოპესს მიბაძა და კეთილისმსურველ სადაზღვევო სააგენტოს მისი კუთვნილი უკანალის დაზღვევა სთხოვა.

მართალია, ბოროტი ენები იძახიან, მარიკა ფრუშოს უკანა ნაწილი 1970-იან წლებში გამოშვებული საბჭოური „ჟიგულის“ საბარგულივით ჟანგისგანაა შეჭმულიო, მაგრამ ეს ავყიობა სამხრეთელ ქალბატონს დიდად არ ანაღვლებს და დღენიადაგ იმის ცდაშია, მისი სხეულის მსუყე ფორმები მუდმივი განხილვის საგანი იყოს. ჰოდა, არის კიდეც!

**ბეჟან დოლიძე**

# საქართველოში სამედიცინო ტექსტილის წარმოება დაიწყო

**საპარტნიორო ფონდმა „სტარტაპ საქართველოს“ კიდევ ერთი გამარჯვებული პროექტის „დოქტორ გუდსის“ პრეზენტაცია გამართა.**

კომპანია საქართველოში პირველად იწყებს სამედიცინო ტექსტილის წარმოებას და მომხმარებელს სტერილურ და არასტერილურ პროდუქტს შესთავაზებს.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, საწარმო სამედიცინო სექტორს რამდენიმე პროდუქტით უზრუნველყოფს. მისი ძირითადი მიმართულებებია ქირურგიული თეთრეულის ყველა ტიპის ნაკრები, გადასაფარებლები, ზეწრები, ქირურგიული ხალათები. პროდუქცია მთლიანად საქართველოში დამზადდება. ეს არის პირველი ქართული საწარმო, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს.

საწარმოში სტერილიზაციის კლასი რეგისტრირებულია საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ.

კომპანია პირველ ეტაპზე 15 ადამიანს დაასაქმებს, მოგვიანებით კი, როგორც კომპანიაში ამბობენ, განვითარების გეგმის მიხედვით, დასაქმებულთა რაოდენობაც გაორმაგდება.

ახალი საწარმო მართლაც ინოვაციურია იმ მხრივ, რომ საქართველოში პირველად შეიკერება და გასტერილდება თითქმის ყველა ტექსტილის ნიმუში, რომელიც სჭირდება ქირურგიულ კლინიკებს.

# ძნელად გადასაჭრელი პრობლემა,

## ანუ სავალდებულო ინსპექტირების რეფორმამ ქალაქი გამონაბოლქვისგან ვერ გაათავისუფლა

**„ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების რეფორმისგან ორი მოლოდინი გვქონდა — საგზაო შემთხვევების შემცირება და გამონაბოლქვის შემცირება. სამწუხაროდ, სტატისტიკა არ არსებობს, რომელიც გვაჩვენებს, თუ რამდენი საგზაო შემთხვევა ხდება გაუმართავი ავტომობილების მიზეზით. შესაბამისად, ვერ ვადარებთ შემცირდა თუ არა ეს მაჩვენებელი წინა პერიოდთან შედარებით. თუმცა, დიდი მოლოდინი არ არის, რომ რადიკალურად შეიცვალა რამე, ოდნავ უკეთესი ხარისხი შეიძლება იყოს, ვიდრე იყო აქამდე. მეორე პრობლემური საკითხი — ძალიან ბევრია ავტომობილი, რომელსაც გავლილი აქვს ტექნიკური ინსპექტირება და კვლავაც სერიოზულად აბინძურებს გარემოს. ეს ნიშნავს, რომ ამ ნაწილში გვაქვს ჩავარდნა, რადგან ქუჩაში გამონაბოლქვის შემოწმება არ ხდება და გვჭირდება რაღაც ახალი მექანიზმების შემუშავება.“** — ასე აფასებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების მეორე წელს „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ თავმჯდომარე **ეკა ლალიაშვილი.**

„კომერსანტმა“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან გამოითხოვა 2019 წლის დასაწყისიდან ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების შედეგები. 2019 წლის პირველი იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით ტექნიკური ინსპექტირება გაიარა სულ 529 346-მა ავტოსატრანსპორტო საშუალებამ, აქედან 1171-ს გადაადგილება აეკრძალა, პირველადი დათვალიერებით 306 907 ავტომობილი გაუმართავი ავტომობილების კატეგორიაში გავიდა და მათ მოუწიათ სერვის ცენტრებში ხარვეზების გამოსწორება, რომლებიც ძირითადად გამონაბოლქვთან, ფარებსა და შუქამრეკლებთან, სამუხრუჭო მოწყობილობასთან იყო დაკავშირებული. ხოლო 220 760-მა ავტოსატრანსპორტო საშუალებამ ტექნიკური ინსპექტირების პროცესის შედეგად დადებითი შეფასება მიიღო.

ეკა ლალიაშვილი აღნიშნავს, რომ ქუჩაში გამონაბოლქვის მაჩვენებლის შემოწმების არარსებობა მძღოლებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა გზებით გვერდი აუარონ ტექნიკურ დათვალიერებასთან დაკავშირებულ სანქციებს და ისინი კვლავაც აგრძელებენ გარემოს დაბინძურებას. მანვე განაცხადა, რომ ავტომობილის არაერთი მფლობელი ამჯობინებს ჯარიმის გადახდას, ვიდრე ავტომობილის წესრიგში მოყვანას.

ტექნიკური შემოწმების პირველი ეტაპი 2018 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო. სავალდებულო ინსპექტირება თავდაპირველად შეეხო მიკროავტობუსებს, ავტობუსებს და სატვირთო ავტომობილებს. პირველი ივლისიდან კი სავალდებულო ინსპექტირება კომპანიების, ან სახელმწიფო სტრუქტურების საკუთრებაში არსებულ ავტომობილებისთვის გახდა. ოქტომბრიდან მხოლოდ იმ მსუბუქ ავტომობილებზე გავრცელდა, რომლის ძრავის მოცულობა 3 ათასი კუბური სანტიმეტრია, ან აჭარბებს მას. სულ საქართველოს მასშტაბით 40 ტესტირების ცენტრია.

**მარიამ მორგოშია**

## გახსენება

**საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობა და ვეტერანთა კავშირი დიდი პატივისცემით და მონატრებით იხსენებს ამავე პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს, ენერგეტიკის დარგის უანგარო მოამაგეს, უკეთილშობილეს პიროვნებას და მოქალაქეს, დარგში დასაქმებულთა გულშემატკივარს და თავდადებულ დამცველს, ბატონ**

## არნოლდ ჩოხელს

**რომელსაც 80 წელი შეუსრულდებოდა 18 სექტემბერს.**

**უფალმა ნათელი არ მოაკლოს მის სულს, უცოცხლოს და უმრავლოს მომგონებლები.**

# არნოლდ ჩოხელის მოგონება



**ჩემო მეგობარო, ჩემო სულიერო ძმაო, 18 სექტემბერს 80 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ... 2003 წლის 15 ოქტომბერს უფალმა მარადიულ სასუფეველში დაგამკვიდრა.**

**რამდენი ტკივილი და მწუხარება გამოიწვია შენმა ნაადრევად წასვლამ. სიკეთის, სიყვარულის, სათნოების, ლამაზი კაცური სიცოცხლით იცხოვრე 62 წელი.**

**არნოლდ ჩოხელი 1939 წელს დაიბადა დუშეთში. სიყვარულმა და სიხარულმა დაისადგურა ჩოხელების ოჯახში. დუშეთის სკოლის კურსდამთავრებული, მედალოსანი ბიჭი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა. დამთავრების შემდეგ, ელმავალმშენებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. წარმატებულ ახალგაზრდას დაწინაურება არ დაჰკლებია. სადაც იშრომა — პარტიულ, სამეურნეო თუ პროფკავშირულ თანამდებობებზე, ყველგან სიყვარული და ადამიანური პატივისცემა დაიმსახურა.**

**ძვირფასი მეუღლის — ნანას და შვილების — ეკას და ალეკოს ცხოვრებით იცხოვრა.**

**ჩემო არნოლდ, არა მარტო ოჯახსა და მეგობრებს გამოაკლდი, შენი კაცობით, დიდი ადამიანური თვისებებით დააკლდი საქართველოს. ჩვენი ურთიერთობა ძმობასა და მეგობრობაზე იყო დაფუძნებული. ჩვენი ძმის ავთო ხინთიბაშვილის სულიერი ურთიერთობა, ალბათ, იქაც გაგრძელდა.**

**ჩემთვის ყველაზე მწუხარე დღეებში გამუდმებით ჩემ გვერდით იდექი. შენმა ოჯახმაც გააგრძელა ჩემ გვერდით დგომა, ვაი, რომ მე ვერაფერი გაგიკეთე., ტკივილი ვერ შეგიმსუბუქე.**

**შენი შვილები და შვილიშვილები ამაყობენ შენი გავლილი გზით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.**

**მეგობრების სახელით**

**დემურ კალანდაძე**

# რეგისტრაციის ვადა 20 სექტემბერს იწურება

**სოციალური მომსახურების სააგენტო „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მორიგ ეტაპს იწყებს. რეგისტრაცია 12 სექტემბერს დაიწყო და 20 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება.**

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, პროფესიულ კურსებზე სწავლის მსურველებს სააგენტო ვაუჩერს გადასცემს, რომლის მაქსიმალური ღირებულება 1000 ლარს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის კი 1500 ლარს შეადგენს. მოკლევადიანი კურსები 2-დან 4 თვემდე გრძელდება.

მომზადება-გადამზადების პროგრამები შრომის ბაზრის თვისობრივი კვლევის საფუძველზე შემუშავდა, რომელმაც 41 მოთხოვნადი პროფესია გამოავლინა. მოთხოვნად პროფესიებს შორისაა: გიდი, კონდიტერი, სასტუმრო საქმის სპეციალისტი, შემდუღებელი, მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი, ბარმენი, ვებპროგრამისტი, ბაგა-ბაღის აღმზრდელი და სხვ.

პროგრამის სამიზნე ჯგუფს 16 წლის ზემოთ, შრომითი ქმედუნარიანობის მქონე საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივი ბინადრობის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები წარმოადგენენ.

უწყების ცნობით, მოკლევადიანი კურსების გავლა, საქართველოს მასშტაბით, 24 როგორც სახელმწიფო, ისე კერძო, აკრედიტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაშია შესაძლებელი.

სამუშაოს მაძიებელმა რეგისტრაციისთვის საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს უნდა მიმართოს. სწავლის დასაფინანსებლად სპეციალურ ვაუჩერებსაც სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები გასცემენ.

# კონცერტი დიდი ილიას ხსოვნას მიეძღვნა

**12 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვიდან 112 წელი შესრულდა.**

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მუზეუმის დირექტორმა ანდრო ბედუკაძემ მიმართა. მან ისაუბრა ამ დღის მნიშვნელობაზე. იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს და ვიცოდეთ ილია. მან მადლობა გადაუხადა ელისო ბოლქვაძეს, რომელმაც მოისურვა ამ დღეს ამ მუზეუმში ჩაეტარებინა კონცერტი და პატივი მიეგო თავისი ბრწყინვალე შესრულებით ილიას ხსოვნისთვის. დიდი ხელოვანი მწერალ გურამ ოდიშარიას დახმარებით სასწრაფოდ ჩამოვიდა ბათუმიდან, სადაც საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდა.

მუზეუმის ეზოში შეკრებილ საზოგადოებას ცნობილმა ქართველმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ კლასიკური მუსიკის დაუვიწყარი საღამოთი უმასპინძლა.

ამავე დღეს ცნობილი გახდა პრემია „საგურამო“-სა და ილიას სახელობის მედლის ლაურეატების ვინაობა. ელისო ბოლქვაძისთვის ლაურეატად გამოცხადება მოულოდნელი, მაგრამ ფრიად სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა.

**რევაზ თოფურია**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

# ქართული საკოლექციო მონეტები

ეროვნულ ბანკს 1995 წლიდან დღემდე 17 საკოლექციო მონეტა აქვს მოჭრილი. საკოლექციო მონეტები შეზღუდული ტირაჟით გამოდის და მათი შეძენა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. თავდაპირველად, მონეტების ფასი ხელმისაწვდომია, მაგალითად, ას ლარამდე, თუმცა წლებთან ერთად, როდესაც მონეტები კერძო კოლექციონერების ხელში გადადის, მათი ღირებულება იზრდება.

1. საკოლექციო მონეტები მასშტაბური ღონისძიებების აღსანიშნავად იჭრება. მაგალითად 10 ლარის ნომინალის საკოლექციო მონეტა ეროვნულმა ბანკმა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოჭრა.

2. 2009 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულის აღსანიშნავად ეროვნულმა ბანკმა ილორის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი მიძღვნილი 10-ლარიანი სამახსოვრო მონეტა გამოუშვა. ილორის ეკლესია მე-11 საუკუნის ძეგლია და იგი ოჩამჩირის რაიონში მდებარეობს.

3. 2018 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობის საპატიო სტუმარი იყო. ამ მოვლენის აღსანიშნავად, ეროვნულმა ბანკმა 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა – „ქართული წიგნი“ გამოუშვა. მონეტაზე გელათის ოთხთავის (XII საუკუნე) ერთ-ერთ მინიატიურაა გამოსახული, ლუკა მახარობელი სახარებას წერს.

4. ეროვნული საფოსტო მარკის გამოშვების 100 წლის საიუბილეო თარიღს კი 5 ლარის ნომინალის მონეტა მიუძღვნეს. ეს მონეტა სხვებისგან ფორმითაც განხვავდება, უფრო მარკას ჰგავს.

5. და ბოლოს, საკოლექციო მონეტა ვაზის თემაზე.

**თეა თოფურია**



# აჭარის რეკლამა უკვე TRAVEL CHANNEL-ის ეთერშიცაა

**წელს პირველად, აჭარის საზღვაო და სამთო ტურისტულ პროდუქტებს** Travel Channel-ის **მილიონობით მაყურებელი გაეცნო. რეგიონის საიმიჯო ვიდეორგოლი საერთაშორისო ტელეკომპანიის ეთერით ევროპაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში გადაიცა. დიდ ბრიტანეთში,** Travel Channel-**თან ერთად აჭარის სატელევიზიო რეკლამა** DISCOVERY-**ის ქსელის შვილობილ არხზე** DMAX-**ზე განხორციელდა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია წელს ასევე, განახორციელა** National Goegraphic-**ის,** BBC-**ის,** Deutsche Welle-**სა და** Euronews-**ის ეთერში.**

მიმდინარე წელს, აჭარის რეკლამა სამიზნე ქვეყნებში, ასევე აქტიურად მიმდინარეობს გარე და ონლაინ რეკლამის, პრეს-ინფოტურებისა და საერთაშორისო გამოფენებში აჭარის წარმოჩენის გზით.

# ბუკინგჰემის სასახლის პერსონალმა დედოფლის პირადი ბარი დაცალა

**ამის შესახებ შოუზე „სამეფო სასახლეების საიდუმლოებანი“ დაყრდნობით გამოცემა** Daily Star-**ი წერს.**

დედოფლის პრესსამსახურის ყოფილი თანამშრომლის დიკ არბიტერის განცხადებით, სასახლის პერსონალის თანამშრომლები დიდ დროს ატარებდნენ ბარში, რის შემდეგაც ადმინისტრაციამ მისი დახურვა გადაწყვიტა.

მიუხედავად არსებული ჭორისა, რომ ელისაბედ მეორეს არასდროს დააქვს ნაღდი ფული, სპეციალურად მისთვის სასახლეში ფინანსური ორგანიზაცია Coutts-ის ბანკომატი დგას. გარდა ამისა, რეზიდენციაში სასწრაფო ოპერაციებისთვის ქირურგიული კაბინეტიც არის მოწყობილი.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9608; ევრო - 3.2699;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6874;
100 რუბლი - 4.6206; თურქული ლირა - 0.5179;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7374;
1000 სომხური დრამი - 6.2202.

**ამინდი 18 სექტემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +12, | დღე | +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7, | დღე | +26 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +14, | დღე | +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე | +28 |
| **თბილისი:** | ღამე | +16, | დღე | +28 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge